# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 5 ოქტომბერი, 2012 წელი.

№191 (7067)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ჩვენი გუნდიდან პარლამენტის დატოვება და მთავრობაში წამოსვლა ბევრს მოუწევს“

②




## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის განცხადება

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“ ულოცავს კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი — ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელ გამარჯვებას და გამოთქვამს იმედს, რომ ქართული პარლამენტის განახლებული შემადგენლობა და საქართველოს მომავალი მთავრობა მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს ქართული განათლებისა და ქართული მეცნიერების განვითარებას, მეცნიერებისა, რომელიც ყოველთვის იდგა მსოფლიო მეცნიერების დონეზე და ზოგ დარგში თვით განსაზღვრავდა ამ დონეს...

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია“, როგორც საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, გამოთქვამს მზადყოფნას, ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში „ცოდნაზე დამყარებული საზოგადოების“ ჩამოყალიბებას, რაც, როგორც ცნობილია, თანამედროვე მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

## რა მდგომარეობაშია ქვეყნის „ქისა“?



⑤

## პრემიები... პატიმრების ცემა-წამებისთვის?!

⑥






## როგორ წააგო სააკაშვილმა არჩევნები

③

## ლადო ბედუკაძე: „თუ გადავრჩი და არ მომკლეს, ყველაფერს ვიტყვი“!

⑤

# „ჩვენი გუნდიდან პარლამენტის დატოვება და მთავრობაში წამოსვლა ბევრს მოუწევს“




**— ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განუცხადა.**

— ასეთი ბევრი იქნება. ჩვენი გუნდის წევრების შესაძლებლობები კარგად შევისწავლე და პარლამენტის დატოვება ბევრს მოუწევს და ბევრი წამოვა მთავრობაში, — აღნიშნა მან.

მისივე თქმით, მინისტრთა კაბინეტის სავარაუდო წევრების შესახებ ამ დროისთვის გავრცელებული ინფორმაციები სიმართლეს არ შეესაბამება.

— არავის არც ერთი ინფორმაცია არ გააჩნია. პროექტი მხოლოდ მე მაქვს და ის ჯერ არც ერთი პირისთვის არ გამიზიარებია. უახლოეს დღეებში დავიწყებ მის განხილვას. შესაბამისად, ჯერ არავინ არაფერი იცის. აბსოლუტურად სიცრუეა ინფორმაციები, რომლებიც ვრცელდება. არც ერთი პირი ჯერ დასახელებული არ არის, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**„ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი კოალიციის მხარდამჭერებს, რომლებიც სხვადასხვა საოლქო-საარჩევნო კომისიებთან არიან შეკრებილნი, აქციების შეწყვეტისკენ მოუწოდებს.**

— ქალაქში არ წყდება ყოფილი ოპოზიციის და ჩვენი მხარდამჭერების გამოსვლები. დღეს ჩვენ ოპოზიციაში აღარ ვართ, ხელისუფლებას წარმოვადგენთ და, როგორც წესი, ოპოზიცია გამოდის ქუჩებში აქციით. ჩემი თხოვნა და მოწოდებაა, ყოველგვარი აქციები შევწყვიტოთ, გადავინაცვლოთ შენობებში, სასამართლოში, პარლამენტში და ყველა გაუგებრობა იქ გადავწყვიტოთ, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ ჟურნალისტებისთვის გაკეთებულ განცხადებაში.

მისივე თქმით, ქართველმა ხალხმა იმ გმირობისა და ვაჟკაცობის შემდეგ, რაც არჩევნებზე აჩვენა, ხელისუფლებაში „ლამაზად გადასვლა უნდა მოახერხოს“.

— ღელავს ევროპა, ღელავს ამერიკა. ამიტომაც ჩვენ აღარ გვეკადრება ქუჩის აქციები იმ გმირობის შემდეგ, რაც ჩვენ ჩავიდინეთ. ჩვენ უკვე ხელისუფლებაში ვართ და მაქსიმუმ თვის ბოლომდე სჭირდება დრო, რომ ტექნიკური პროცედურები დასრულდეს და ხელისუფლება ოფიციალურად გადავიფორმოთ. ამის შემდეგ ჩამოვაყალიბებთ ახალ მთავრობას, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

* * *

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე, საქართველოში ყოფნის 360-დღიანი ვადის ამოწურვის გამო ქვეყნის დატოვებას არ აპირებს , — ამის შესახებ ივანიშვილმა ჟურნალისტებს გუშინ განუცხადა.**

— ჩვენი ყოფილი პარლამენტი სააკაშვილის მითითებებს დაემორჩილა და, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა იმ საკონსტიტუციო ცვლილებით, რომელიც თითქოს ჩემთვის გაკეთდა. არ ვიცი და ადვოკატებისთვის არ დამივალებია, გაერკვიათ კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანეს თუ არა სამოქალაქო კოდექსი და კიდევ სხვა კანონები. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატს ვიზა უმთავრდებოდეს ქვეყანაში. ასეთი სისულეები გააკეთა სააკაშვილის ხელისუფლებამ. კეთილი ინებოს და თვითონვე გამოასწოროს ეს. მე ამისთვის არ ვირჯები, ქვეყნის დატოვებას არ ვაპირებ, — განუცხადა ივანიშვილმა ჟურნალისტებს.

ინტერპრესნიუსი

# ბესო სურმავა ოჯახში დაბრუნდა

**„ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრი ბესო სურმავა ოჯახში დაბრუნდა. ამის შესახებ მისმა მეუღლე მაკა ლობჟანიძემ განაცხადა და აქვე განმარტა, რომ სურმავა სახლში ოთხშაბათს ღამით მივიდა.**

— ჩვენთან მხოლოდ ორი საათი გაჩერდა, შემდეგ კი გადავწყვიტეთ, რომ დაისვენოს და



სხვაგან გავუშვით. აბსოლუტურად არაფერზე ლაპარაკობს და ვფიქრობ, რაიმე კითხვის დასმას ახლა აზრიც არ აქვს. ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ ბესოს დაღლილი და ნაწამები სახე აქვს, — განაცხადა მაკა ლობჟანიძემ.

მისივე განმარტებით, „დეტალებზე არ უსაუბრიათ, თუმცა დასვენების შემდეგ ბესო სურმავა, ალბათ, ბიძინა ივანიშვილთან მისვლასაც გადაწყვეტს“.

ივანიშვილის დაცვის წევრის ბესო სურმავას ადგილსამყოფელი 7 დღე იყო დაუდგენელი. ის არჩევნებამდე ორი დღით ადრე გაუჩინარდა. მალევე სოციალური ქსელის მეშვეობით მისი ვიდეო გავრცელდა, რომელშიც ის აცხადებს, რომ ივანიშვილი „ქართული ოცნების“ წევრების მოსმენებს და მათი ჩანაწერების გაკეთებას ავალებდა. სურმავას სახელით Youtube-ზე რამდენიმე საუბრის ჩანაწერიც განთავსდა, რომელშიც კოალიციის წევრები ერთმანეთს და უშუალოდ „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს უწმაწური სიტყვებით მოიხსენიებენ.

ინტერპრესნიუსი

## შეფასება

# კახა ბენდუქიძე: ეს არის დრამა, მაგრამ არა — ტრაგედია

**ეს არის დრამა, მაგრამ არა — ტრაგედია, — ასე აფასებს „თავისუფალი უნივერსიტეტის“ დამფუძნებელი კახა ბენდუქიძე საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას.**

„лента.ру“-სთან ინტერვიუში ბენდუქიძე აცხადებს, რომ „ტექტონიკური ძვრები“ ქართველი ამომრჩევლის სიმპათიებში საქართველოს ციხეებში მომხდარმა სკანდალმა განაპირობა.

ბენდუქიძე სააკაშვილს ელცინსა და რუზველტს ადარებს და აცხადებს, რომ მან საკუთარი ძალა აჩვენა. ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლას კი ეკონომიკის ყოფილი მინისტრი „არასასიამოვნო სანახაობას, მაგრამ გარდაუვალს“ უწოდებს.

— რაც მოხდა, მოხდა. პრინციპში, ძლიერი ტექტონიკური ძვრები უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მოხდა. სასწორის თეფშები გადაიხარა. აქამდე ოპოზიციის შანსები გაცილებით მცირე იყო, ჩემი პროგნოზით 100/40-თან „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ, — განაცხადა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, არჩევნების შედეგები არ მოსწონს, თუმცა ეს რეფორმების ნათელი შედეგია.

— გაიზარდა თაობა, რომელსაც ადამიანის უფლებების საკითხი აწუხებს. ჩემი და თქვენი თაობის ადამიანებს არ უკვირთ, როდესაც პატიმრებზე ძალადობის შესახებ ესმით. რუსეთის ან სხვა მეზობელი ქვეყნების ქუჩებშიც არავინ გამოდის, ისევე, როგორც არ გამოვიდნენ მაგნიტსკის სიკვდილისას. ბევრი, ვინც მზად იყო, ხმა სააკაშვილის პარტიისთვის მიეცა, არჩევნებზე არ წავიდა. პირიქით, არჩევნებში მონაწილეობა სკანდალით აღშფოთებულმა მოქალაქეებმა მიიღეს. ხმის მიცემისას 20 წუთის განმავლობაში რიგში ვიდექი, რაც აქამდე არ ყოფილა, — აღნიშნა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, ეს ერთადერთი ფაქტი არ არის, რამაც სააკაშვილის დამარცხება გამოიწვია. როგორც ბენდუქიძე აცხადებს, არიან ადამიანები, რომლებიც შევარდნაძის პრეზიდენტობისას „ფულს შოულობდნენ“ — მაგალითად, საბაჟო სამსახურის თანამშრომლები, კორუმპირებული პროფესორები.




— არიან ადამიანები, ვისაც უბრალოდ ხელისუფლებაში მოსვლა და სტატუს-კვოს აღდგენა სურს — იგივე კანონიერ ქურდებს. უკმაყოფილო ადამიანი ბევრია. ეკონომიკის სამინისტროდან პირადად ორი ათასამდე ადამიანი გავათავისუფლე. ისინი, რა თქმა უნდა, ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მისცემდნენ. სხვა უწყებებიდანაც უამრავი რაოდენობის ადამიანი გათავისუფლდა, მათ შორის, ძველი პოლიციელები, — განაცხადა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, ხელისუფლებასთან თავადაც იმდენი პრეტენზია აქვს, რომ 1000-გვერდიანი წიგნის დაწერას შეძლებდა.

ესთეტიკურ პრეტენზიებს შორის ბენდუქიძე „თავისუფლების მოედანს“ ასახელებს და განმარტავს, რომ შენიშვნები აქვს განათლების რეფორმის დეტალებთან, ბიუჯეტის დეფიციტთან დაკავშირებით, მიიჩნევს, რომ გადასახადები დაბალი უნდა იყოს და სახელმწიფო ინვესტიციები სხვა მიმართულებებით გამოიყენონ.

გარდა ამისა, სოციალურ პრობლემებზე საუბრისას ბენდუქიძე ხაზს ჯანდაცვის სამინისტროს მაღალ ბიუჯეტს უსვამს. მისი ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი ორჯერ დიდია, ვიდრე თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთად აღებული.

როგორც ბენდუქიძე აცხადებს, ხელისუფლებაში რომ იყოს, ბევრად უფრო მოკრძალებულ და იაფფასიან საზოგადოებრივ შენობებს ააშენებდა, თუმცა მისი თქმით, ეს შენობები სახლში არავის მიაქვს.

— სააკაშვილს სურდა, რომ ისინი ახალი საქართველოს სიმბოლოები ყოფილიყო. არა მხოლოდ ის, რომ პენსიონერს ბევრად მეტი პურისა და ხორცის ყიდვა შესძლებოდა, ვიდრე 2004 წელს, არამედ იმისთვის, რომ დაენახა, როგორ იცვლება ქვეყანა. ადამიანების უმეტესობა დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტის სასახლე მილიარდი დოლარი დაჯდა. ეს ნონსენსია, რადგან ამ თანხის გაღება საქართველოს არ შეუძლია. ქუთაისის პარლამენტის ახალი შენობა კი 100 მილიონ დოლარზე მეტი დაჯდა, — აღნიშნა ბენდუქიძემ.

მისივე თქმით, პარლამენტის ქუთაისში გადატანის ერთ-ერთი ინიციატორი თავად იყო.

— იმის მიუხედავად, რომ ძალიან არ მიყვარს ზედმეტი საბიუჯეტო ხარჯები, მიმაჩნია, რომ ეს ცვლის ქუთაისს და ჩვენს გონებას. ცხოვრება მხოლოდ დედაქალაქში არ არის. ადრე თუ გვიან, ყველა მიხვდება, რომ ამით ახალი ცხოვრება და აზროვნება ყალიბდება, — განაცხადა ბენდუქიძემ.

ინტერპრესნიუსი

## ინფორმაცია

# „რუსთავი 2“-ის 40% დავით კეზერაშვილმა იყიდა



**გუშინ, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 40 % გაიყიდა, — იტყობინება ჟურნალი „ლიბერალი“. გამოცემის ცნობით, საჯარო რეესტრის მონაცემებით, 4 ოქტომბერს ჩატარებული პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით, ლევან ყარამანიშვილმა თავისი კუთვნილი 90 %-იანი წილიდან 40% ნახევარ მილიონ დოლარად „მედია ჯორჯიას“ მიყიდა.**

**— კომპანია, რომელმაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის წილი იყიდა, გუშინწინ, 3 ოქტომბერს ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა ერთპიროვნულად დააფუძნა, — წერს გამოცემა.**

ინტერპრესნიუსი

# როგორ წააგო სააკაშვილმა არჩევნები

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღიარა თავისი მმართველი პარტიის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხება, რაც ნაწილობრივ ციხის წამების ამსახველი ვიდეოების ჩვენებამ განაპირობა, იმ ციხისა, რომელსაც ერთ დროს TIME-ის კორესპონდენტი სტუმრობდა.

საქართველოს დედაქალაქის ცენტრიდან, №8 საპყრობილემდე მანქანით მისვლას დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა, რომლის დროსაც, ძირითადად, ვსაუბრობდით კალიფორნიის კოლეჯებზე და მოსკოვის საგზაო საცობებზე, და არა ქართულ ციხეებზე, რომელიც ეროვნული დებატების მთავარ თემას არ წარმოადგენდა. ეს იყო 2010 წლის ზაფხულში, ბევრად ადრე, ვიდრე ტელევიზიით №8 საპყრობილეში პატიმართა წამებას უჩვენებდნენ, და ბევრად ადრე, ვიდრე ეს ვიდეოები ამ კვირის საპარლამენტო არჩევნების კურსს შეცვლიდა.

როდესაც სამშაბათს ხმათა მეოთხედი დაითვალეს, ცხადი გახდა, თუ რამდენად დააზარალა ციხის სკანდალმა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი: ის იძულებული გახდა, ეღიარებინა საკუთარი პარტიის დამარცხება იმ ოპოზიციურ პარტიასთან, რომელიც არჩევნებამდე 6 თვით ადრე ჩამოყალიბდა. ეს მოულოდნელი შედეგი იყო, და როგორც ჩანს, ეს ახლად შექმნილ „ქართულ ოცნებას“ საშუალებას მისცემს, ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა და აირჩიოს პრემიერ-მინისტრი. ასეთი შედეგი წარმოუდგენელი იქნებოდა ორი წლის წინათ, როდესაც სააკაშვილს რეალური პოლიტიკური ოპონენტები არ ჰყავდა და ძალიან ცოტა ქართველმა თუ იცოდა რაიმე №8 საპყრობილის შესახებ. მაშინ 2010 წელს, ადამიანი, რომელიც თან მახლდა, საქართველოს პენიტენციარული სისტემის წარმომადგენელი, ვერ გაიგებდა, რატომ სურდა ამერიკელ ჟურნალისტს მთელი დღის გატარება გლდანის ამ ციხეში. ამის ზუსტ მიზეზს ვერც მე ვხვდებოდი.

ჩემი იქ წასვლა სააკაშვილის იდეა იყო. რამდენიმე თვით ადრე, 2010 წლის მარტში, სპეცოპერაციის დროს დასავლეთ ევროპაში ეჭვმიტანილ ქართველ ქურდთა ჯგუფი დააკავეს, ძირითადად, ესპანეთში, სადაც ისინი აკონტროლებდნენ პროსტიტუციასა და ნარკოტიკებით ვაჭრობას საკურორტო ქალაქ მალიორკასა და სხვა ადგილებში. სტატიის დასაწერად თბილისში წავედი, იქ, საიდანაც ეჭვმიტანილები იყვნენ და იმის ასაღწერად, თუ როგორ დაასრულეს მათ საქმიანობა დამნაშავეთა სამყაროში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. ეს იყო ერთ-ერთი თემა, რომელზე საუბარიც სააკაშვილს გამორჩეულად სიამოვნებდა. იგი ამაყობდა თავისი მთავრობის ბრძოლით იმ ქურდული სამყაროს წინააღმდეგ, რომელიც ეკონომიკის დიდ ნაწილს აკონტროლებდა, ვიდრე სააკაშვილი 2003 წლის „ვარდების რევოლუციით“ ხელისუფლებაში მოვიდოდა. როგორც ჩანს, მისი ბავშვობა ჰგავდა სცენას ფილმიდან „განგსტერები“. „ყველა სკოლის ბავშვს უნდოდა, რომ ე.წ. კანონიერი ქურდისთვის მიებაძა,“ მითხრა მან, და იყენებდა სლენგს, თუ რას ნიშნავდა ადგილობრივი ბანდიტებისათვის „ქურდული სამყაროს წევრობა“. „ყველამ იცოდა მათი სახელები. ყველა მათ გარშემო ტრიალებდა.“

მისი თქმით, წამება ქართულ სამართალდამცავ სტრუქტურებში „ვარდების რევოლუციამდე“ მიღებული პრაქტიკა იყო. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს საქართველოში გამუდმებით წყდებოდა ელექტროენერგიის მიწოდება, „ყველა პოლიციის განყოფილებას საკუთარი გენერატორი ჰქონდა ხალხთან დასაკავშირებლად,“ თქვა მან. „ერთადერთი გზა პოლიციისათვის ზოგიერთი დანაშაულის გამოსავლენად იყო წამება, რადგან ხალხი არ თანამშრომლობდა, არავის სურდა თანამშრომლობა, რადგან ორგანიზებული დანაშაულის ყველას ეშინოდა.“ შემდეგ დაფიქრდა და დასძინა: „რა თქმა უნდა, აქ ახლა აღარავინ აწამებს.“

სააკაშვილის თანახმად, წამება, კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აღმოიფხვრა, რომელმაც დაასრულა საბჭოთა მოხელეების, როგორიც მაგალითად ედუარდ შევარდნაძე იყო, მმართველობა და საქართველო ევროკავშირში გაერთიანების გზაზე დააყენა. ახალგაზრდა, ამერიკაში განსწავლული სააკაშვილი, რომელიც პრეზიდენტი 36 წლის ასაკში გახდა, ძალიან დასცილდა საკუთარ რეფორმებს. მისი ერთ-ერთი თამამი ნაბიჯი იყო ის, რომ პოლიციური ძალების თითქმის მთელი შემადგენლობა დაითხოვა, პოლიციის, რომელიც კორუფციის გამო ძალიან დისკრედიტირებული იყო. მაგრამ 2008 წელს მისმა პოპულარობამ იკლო, როდესაც საქართველოს რუსეთთან ომი ქვეყნის ტერიტორიის მეხუთედი დაუჯდა; მისი ბოლო საპრეზიდენტო ვადა მომავალი წლის ოქტომბერში იწურება. ვადის გასვლის შემდეგ მას ჰქონდა შანსი პრემიერ-მინისტრად დაბრუნებულიყო, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, მის პარტიას პარლამენტში უმრავლესობა მოეპოვებინა, რისი გაკეთებაც ორშაბათს ვერ შესძლო. ახლა სააკაშვილი თავისი საპრეზიდენტო ვადის მიწურულს დააკვირდება იმას, თუ როგორ განამტკიცებს ძალაუფლებას ოპოზიცია. ეს საქართველოსთვის საეტაპო მნიშვნელობის მოვლენაა, რადგან ამ ქვეყნის ისტორიის მანძილზე არჩევნების გზით ხელისუფლება პირველად შეიცვალა.



ორი წლის წინათ, ბევრად ადრე, ვიდრე საქართველოს უმდიდრესი ადამიანი, ბიძინა ივანიშვილი, „ქართული ოცნების“ პარტიას ჩამოაყალიბებდა, აპრილში, ვერც ერთი ოპოზიციური ძალა სააკაშვილს სერიოზულად ვერ უპირისპირდებოდა. მას ბევრი რამით შეეძლო, ეამაყა, პირველ რიგში, პოლიციისა და პენიტენციური სისტემის რეფორმებით, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ მიიჩნეოდა. როდესაც დავასრულეთ ინტერვიუს ჩაწერა პრეზიდენტის სასახლეში, რომელიც ზემოდან გადმოჰყურებს ქალაქს, მისმა თანაშემწეებმა პენიტენციარული სისტემის პრესსამსახურს დაურეკეს და მომდევნო დღისთვის ჩემს იქ გამგზავრებას გაუკეთეს ორგანიზება, რათა მენახა ის, რაც ქართული სამართალდამცავი ორგანოების სიამაყის საგანი და სამაგალითო დაწესებულება იყო. გლდანი თბილისის უსიცოცხლო უბანი აღმოჩნდა, რომელიც სავსე იყო ახლად შეღებილი სათამაშო მოედნების გარშემო განლაგებული მაღალი საცხოვრებელი კორპუსებით. №8 საპყრობილე, დაბალი და განიერი შენობების კომპლექსი, რომელსაც მაღალი ბეტონის კედელი იცავდა, ქალაქის განაპირას მდებარეობდა;

ციხის ადმინისტრაციის უფროსი თამაზ მელაძე ციხის შიგნით გველოდა. ეს იყო ჩაფსკვნილი, პირქუში მამაკაცი გამოწყობილი მუქ, წვრილზოლიან კოსტიუმში, რაც აშკარად დიდი ჰქონდა, საუბრობდა რუსულად, ცუდი აქცენტით და ხშირად სიტყვები ავიწყდებოდა. ის პენიტენციურ სისტემაში 1986 წლიდან მუშაობდა, მათ შორის სახელგატეხილ №5 საპყრობილეში, რომელიც 2006 წლის ციხის არეულობის შემდეგ დახურეს. ციხის ბოლოდროინდელ სკანდალამდე, რომელმაც 18 სექტემბერს იფეთქა, როდესაც სატელევიზიო არხებმა წამების ამსახველი ვიდეოები უჩვენეს, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში ეს ყველაზე მუქი ლაქა იყო. იმ დღეს პოლიციამ 9 პატიმარი დახოცა და სულ ცოტა 19 დაჭრა; სააკაშვილი ამ ინციდენტის შესახებ საუბარს არ გაურბოდა. „რა თქმა უნდა, მთავრობის მხრიდან ეს არაპოპულარული ნაბიჯი იყო,“ მითხრა პრეზიდენტმა. „საბოლოო ჯამში კი სასარგებლო იყო, რადგან ეს მოხდა და ისინი მიხვდნენ, რომ ჩვენ მათ არ ვეხუმრებოდით.“

ასეთივე მედიდური ტონით საუბრობდა მელაძეც, რომელიც ამაყობდა თავისი როლით, რომ მთავრობის მიერ კრიმინალის წინააღმდეგ გამოცხადებული „ნულოვანი ტოლერანტობის“ დაცვის სადარაჯოზე იდგა. კრიმინალთან ბრძოლის ამ პოლიტიკამ შედეგად გამოიღო 98-პროცენტიანი გამამტყუნებელი განაჩენები ქართულ სასამართლოებში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. „მე არ ვარ პოლიტიკოსი,“ მითხრა მან №8 ციხის შიგნით მოწყობილ ასკეტურად მოკრძალებულ ოფისში, „მაგრამ ვიცი ერთი რამ: მათ უნდა ებრძოლო.“ ის გულისხმობდა ეჭვმიტანილ ქურდებს, როგორიც იყო მაგალითად ლაშა შუშანაშვილი, რომელიც ესპანეთის პოლიციის რეიდს ხელიდან დაუსხლტა სულ რაღაც სამი თვით ადრე. მელაძის თქმით, საქართველომ წარმატებას მიაღწია, მაშინ როცა ევროპის მიერ წარმოებული ბრძოლა მაფიასთან ჩავარდა. „ეს სისხლიანი საქმე იყო, მაგრამ ჩვენ ეს გავაკეთეთ,“ თქვა მან.

რადგანაც ჩვეულებრივ საკნებში რამდენიმე პატიმარი იყო განთავსებული, მან უარი მითხრა მათ ჩვენებაზე. ეს ის ადგილებია, სადაც წამების ამსახველი ვიდეოებია გადაღებული. ვიდეომასალა ასახავს იმას, თუ როგორ აწამებენ და შეურაცხყოფენ ციხის მცველები ფიზიკურად დაუძლურებულ პატიმრებს თავიანთ საკნებში. ყველაზე შემზარავ ვიდეოში ზედამხედველები პატიმარს ძველებური ცოცხით, რუსული „ვენიკით“ აუპატიურებენ. არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ამან მთელ ქვეყანაში ქუჩის საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია და სააკაშვილის რეიტინგი სწრაფად დაეცა. ორი წლის შემდეგ ამ კადრების ყურებისას, ძნელი იყო, რომ თავი დამნაშავედ არ მეგრძნო იმის გამო, რომ მაშინ ძალადობის ნიშნები არ შემინიშნავს. როდესაც უკან ვიყურები, ამის ნიშნები, ცხადია, იყო. როდესაც ციხის ეზოსა თუ დერეფნებში გვერდზე ჩავუარეთ პატიმრებს, ისინი მორჩილად იხრებოდნენ მხრებში და თავს უკრავდნენ მელაძეს, მაგრამ არ უცდიათ მელაძისათვის ან ჩემთვის თვალებში შემოხედვა.

როდესაც ვცდილობდი, მათ დაველაპარაკებოდი, ისინი შიშისაგან დუმდებოდნენ და ჩემს შეკითხვებს მოკლედ, ბუტბუტით პასუხობდნენ. როგორ გეპყრობიან? კარგად. რაიმე ჩივილი ხომ არ გაქვთ? არა. „ვწუხვარ, რომ ისინი კეთილგანწყობილები არ არიან,“ მითხრა მელაძემ კიბეებზე ასვლისას, როდესაც მის ოფისში ვბრუნდებოდით. ჩვენი ინტერვიუს მეორე ნაწილში ის უფრო თავისუფლად საუბრობდა და მიხსნიდა, რომ „შიში მნიშვნელოვანია“ პენიტენციურ სისტემაში, განსაკუთრებით როდესაც საქმე გაქვს მკვლელებთან და ქურდებთან. „ასეთები უნდა დაიჭირო,“ თქვა აღტკინებულმა. „და როდესაც დააკავებ, ისინი ცალკე საკნებში უნდა მოათავსო, რომ ბრძანებები არ გასცენ გარეთ. ეს არის მთავარი რამ.“

სააკაშვილიც იგივეს ფიქრობდა. ის ძალიან ამაყობდა, რომ ორგანიზებული კრიმინალი დაამარცხა, „ჩვენ ციხეებში პატიმართა რაოდენობა გასამმაგდა,“ თქვა მან. „მაგრამ სამჯერ შემცირდა კრიმანალის მაჩვენებელი.“ ეს ტენდენცია ჩემი ინტერვიუს შემდეგაც გაგრძელდა. ახლა საქართველოს ციხეებში თითქმის 25000 პატიმარია; ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპაში და ოთხჯერ მეტია, ვიდრე ეს იყო 2004 წლამდე, ვიდრე სააკაშვილი პრეზიდენტი გახდებოდა. მაგრამ პრეზიდენტისთვის ეს სიამაყის წყარო ველარ იქნება და, ცხადია, ვერც მისი ხალხისთვის. როდესაც ქართველები ორშაბათს ხმის მისაცემად მივიდნენ, წამების სცენები თვალწინ უტრიალებდათ. და ვიცი, რამდენად რთული იქნებოდა მათთვის ამის დავიწყება გლდანის ციხეში ვიზიტის შემთხვევაში.

TIME

საიმონ შუსტერი

## ◉ ინფორმაცია

# პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭება სტრასბურგის პრეროგატივაა

დაკავებული პირისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ექსკლუზიური პრეროგატივა გახდა. ამის შესახებ ინფორმაცია უცხოურ მედიაში გავრცელდა.

ამასთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, სადაც პოლიტპატიმრობის, როგორც კონცეფციის გადახალისება მოხდება. ახალი რეზოლუციის მიხედვით, პირი, რომელსაც სამართლებრივი სანქციის შედეგად მიესაჯა დაპატიმრება, ჩაითვლება პოლიტპატიმრად:

ა) თუ პირის დაკავება მოხდა ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციითა და თანმხლები ოქმებით გარანტირებული ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევით. კერძოდ, თუ ადგილი აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების, აზრის გამოხატვისა და ინფორმაციის გავრცელების, შეკრებისა და გაერთიანების უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას.

ბ) თუ პირის დაკავება მოხდა უშუალოდ პოლიტიკური მიზეზით, მის მიერ აქტუალური დანაშაულის ჩადენის გარეშე.

გ) თუ პოლიტიკური მოტივები, სასჯელის ვადა ან პირობები აშკარა შეუსაბამობაში მოდიან პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთან ან დანაშაულთან, რომლის ჩადენაშიც იგი ეჭვმიტანილია.

დ) თუ პოლიტიკური მოტივების გამო, მის დაკავებას აქვს დისკრიმინირებადი ხასიათი სხვა ანალოგიური მიზეზით დაკავებულ პირებთან შედარებით.

ე) თუ დაკავება გამოწვეულია სასამართლო პროცესის აშკარა უსამართლობით და დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან.

ასამბლეამ, ასევე, აღნიშნა, რომ პირები, რომლებიც დაკავებულნი არიან ტერორისტულ დანაშაულში მონაწილეობის გამო, არ ჩაითვლებიან პოლიტპატიმრებად.



ინტერპრესი

◎ კანონის თვალსაწიერიდან

# „მთავრობის ფორმირებაში ცენტრალური ფიგურა პრეზიდენტია, მაგრამ ის არჩევნების შემდგომ კონფიგურაციას გაითვალისწინებს“



**არჩევნების შედეგებზე, აგრეთვე იმაზე, თუ როგორ შეძლებს „ქართული ოცნება“ მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებას მოქმედი კანონმდებლობით, „ინტერპრესნიუსი“ კონსტიტუციონალისტ ავთანდილ დემეტრაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ავთანდილ, როგორ შეაფასებდით პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პირველად შედეგებს და იმას, რომ საარჩევნო კანონმდებლობასა და საარჩევნო გარემოში უამრავი პრობლემის მიუხედავად ქვეყანამ, მართალია, მცირე ექცესებით, მაგრამ მაინც შეძლო საპარლამენტო არჩენების მშვიდობიანად ჩატარება...**

— მე უფრო ადრინდელი პროცესებით დავიწყებდი ამ თემაზე საუბარს და დადებით მოვლენად ჩავთვლიდი ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციური ძალის შექმნას. ამგვარი ძალის გაჩენა წაადგება ჩვენი პოლიტიკური სისტემის სრულყოფას. ძლიერი პოლიტიკური ძალის — „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ კონკურენტუნარიანი გახადა არჩევნებიც, რაც საქართველოს უახლეს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ იყო. მხედველობაში მაქვს გასული საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც ზვიად გამსახურდიას ძალისხმევით საქართველოში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები. ამიტომ, თუ ზოგადად შევაფასებთ, როგორც წინასაარჩევნო პროცესს, ასევე არჩევნებს, შეფასება დადებითი უნდა იყოს. თუ გადავხედავთ მის მსვლელობას, დასკვნას შესაბამისი სადამკვირებლო ორგანიზაციები გააკეთებენ, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში ჩატარდა, დარღვევებისგან არავინ არ არის დაზღვეული. აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთმა კანდიდატმა, ჩეინიმ გააკეთა განცხადება, რომ არჩევნები დარღვევებით ჩატარდა. მთავარია, რომ არჩევნებმა მშვიდ გარემოში ჩაიარა და გარკვეული შედეგიც მოგვცა. ანუ დადებითად ვაფასებ ამ არჩევნების შედეგებსაც და მსვლელობასაც.

**— ვიდრე საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები არ ჩატარდება და მოქმედ პრეზიდენტს ვადა არ ამოეწურება, ახალი კონსტიტუცია ძალაში არ შედის. ანუ, პარლამენტში უმრავლესობით, სავარაუდოდ 90-91 დეპუტატით შესვლის შემდეგ, მოქმედი კონსტიტუციით, რისი გაკეთების უფლება და საშუალება ექნება „ქართულ ოცნებას“?**

— ყველა იმ ფუნქციის შესრულება, რაც კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, გარდა ერთისა: ვინაიდან კოალიციას პარლამენტში არ ეყოლება დეპუტატთა 2/3, გადახედოს და შეცვალოს კონსტიტუცია და ვერ განახორციელებს პრეზიდენტის იმპიჩმენტს. მათ შეეძლებათ ორგანული კანონების მიღება, პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე ვეტოს დადება, უპირობო უნდობლობის გამოცხადება. რა თქმა უნდა, ამ შემადგენლობას ექნება შესაძლებლობა, პარლამენტის თავმჯდომარედ თავისი წარმომადგენელი აირჩიოს. ეს მათი პრეროგატივაა და ამაში ვერავინ ვერ ჩაერევა.

**— რაც შეეხება პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის დაკომპლექტებას?**

— მოქმედი კონსტიტუციის მე-80 მუხლით, ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე ქვეყანაში ცენტრალურ ფიგურად რჩება პრეზიდენტი. ასე იქნება მანამდე, ვიდრე არ ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები და ახალი პრეზიდენტი არ დადებს ფიცს. მანამდე, მთავრობის ფორმირებაში ცენტრალური ფიგურა გახლავთ პრეზიდენტი. ეს კანონით, მაგრამ ახლა სხვა პოლიტიკური სიტუაციაა და მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „ნაცმოძრაობა“ ოპოზიციაში გადადის, ალბათ ის გაითვალისწინებს ხალხის ნებას, იმ პოლიტიკურ კონფიგურაციას პარლამენტში, რომელიც პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეიქმნა. ისე, კვლავ გავიმეორებ, მთავრობის ფორმირება მთლიანად პრეზიდენტის პრეროგატივაა.

**— გასაგებია, რომ პრეზიდენტს შეუძლია წარუდგინოს პარლამენტს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა, მაგრამ პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა იმგვარი კონფიგურაციაა, ვისი კანდიდატურაც არ უნდა წარუდგინოს პრეზიდენტმა პარლამენტს „ქართულ ოცნებასთან“ შეუთანხმებლად, პარლამენტი პრეზიდენტის კანდიდატურას არ დაამტკიცებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტი მომავალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას „ქართულ ოცნებას“ შეუთანხმებს?**

— პრეზიდენტი საპარლამენტო ფრაქციებთან კონსულტაციის შემდეგ შეარჩევს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურას, ამის შემდეგ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი დააკომპლექტებს მთავრობის შემადგენლობას და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად. თუ პრეზიდენტის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატურას პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადა, მას აქვს უფლება, მეორეჯერ და მესამეჯერ წარუდგინოს პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა და მთავრობის შემადგენლობა. ამის შემდეგ პრეზიდენტს შეუძლია, თავად დანიშნოს პრემიერ-მინისტრი და მთავრობის შემადგენლობა. პრეზიდენტს შეუძლია, პარლამენტი დაითხოვოს, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა ამის გაკეთების საშუალებას უკრძალავს პარლამენტის არჩევიდან 6 თვის განმავლობაში.

**— მოქმედი კანონმდებლობით, შეუძლია თუ არა ახლად არჩეულ პარლამენტს, სავარაუდოდ 90 დეპუტატით შესულ „ქართულ ოცნებას“, დაიწყოს პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა?**

— პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება შეუძლია ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას, დეპუტატთა 1/3-საც შეუძლია. მაგრამ, თუ პრეზიდენტისადმი პრეტენზიებში დანაშაულის ნიშნებია, ამას საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს. თუ საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნით პრეზიდენტს დარღვეული აქვს კონსტიტუცია, მაშინ ამ გადაწყვეტილებას პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობის 2/3-მა, ანუ სულ ცოტა 100-მა დეპუტატმა უნდა დაუჭიროს მხარი. მაგრამ, თუ საკონსტიტუციო სასამართლოდან უარყოფითი დასკვნა იქნა მიღებული, ანუ პრეზიდენტის ქმედებებში არ იქნა აღმოჩენილი კონსტიტუციის დარღვევის ნიშნები, მაშინ იმპიჩმენტის პროცედურა უნდა შეწყდეს.

**— თქვენი აზრით, პრეზიდენტის განცხადება, რომ „ნაცმოძრაობა“ ოპოზიციაში გადავიდა“, შეუწყობს თუ არა ხელს ხელისუფლების ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფის ხელში უმტკივნეულად გადასვლას? სწორად გავიგე პრეზიდენტის განცხადება?**

— დიახ, შეგვიძლია სწორედ ასე გავიგოთ. იმ წესით მთავრობის ფორმირება, რომლის შესახებაც მე უკვე მოგახსენეთ, შეიძლება რამდენიმე თვე გაგრძელდეს. მაგრამ პრეზიდენტმა „ნაცმოძრაობის“ ოპოზიციაში გადასვლის შესახებ გაკეთებული განცხადებით თქვა, რომ არჩევნებში გამარჯვებულ ძალასთან არავითარი კონფრონტაცია არ იქნება და პარლამენტისა და ახალი მთავრობის საქმიანობა უმოკლეს ვადებში დაიწყება. პრეზიდენტი მზად არის, გაითვალისწინოს ხალხის ნება და არსებული პოლიტიკური რეალობა და ხელი შეუწყოს ახალი პარლამენტისა და მთავრობის საქმიანობის დაწყებას.

**კობა ბენდელიანი**

---

# ავაშენოთ, ოღონდ მყარად

## კონცერტი ორი ვიოლინოსთვის სხვადასხვა საკრავის თანხლებით

**„სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“ — თუ ვერ გაიგონებთ, ყოფილი პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმავალი ადამიანების თვალებში უეჭველად ამოიკითხავთ ამ სიტყვებს, რომლებსაც ზოგი დანანებით, ზოგი კი აშკარა სიხარულით ამბობს.**

„მიშას რა?“ — ეს კითხვაც, რომლის პასუხი (ოღონდ სხვა ადრესატის მიმართ) თავის დროზე ომახიანად ისმოდა რუსთაველის გამზირზე, საკმაოდ აქტუალურია.

მოკლედ რომ ვთქვა, კითხვები ბევრია და მათი რაოდენობა რაც უფრო მაღალ ფაზაში შედის „სხვადასხვა საკრავის თანხლებით მიმდინარე ორი ვიოლინოს კონცერტი“, მით უფრო იმატებს.

**რა მოხდება? დავიჯეროთ ასე „გლადკად“ დანებდება? ვის დაიჭერენ? ვინ გაიქცევა? ვინ „გაოცნებდება“? ვის დანიშნავენ? რამდენ ხანში გვეშველება? მაგარი კარგი რამე მოხდა არა?**

აი ის კითხვები, რომლებიც ყველგან, აბსოლუტურად ყველგან ისმის.

მოდით, ჯერ ვნახოთ, თუ რა მოხდა.

„ახლების“ „ექიმ-მეწარმელიდერმა“ პოლიტიკაზე უარი თქვა (დილიდან მარცხენა თვალი მითამაშებდა).

ქდმ, ედპ, მშრომელები და სხვები ძირითადად ჩუმად არიან.

აქამდე პირველმა ვიოლინომ თავისი სოლო პარტია ალეგროშერეული კრეშჩენდოს ფონზე დაამთავრა და ოპოზიციაში გადაინაცვლა.

გადაინაცვლა და...

ერთი წუთით წარმოიდგინეთ რუსთაველის გამზირი ექვსი თვის შემდეგ: — ლეიბორისტები, ქდმ, ედპ და სხვები პარლამენტის წინ აქციას მართავენ. უცებ აქციის სპიკერი ალეკო ჯიბლაძე დაიძუხებს: — მეგობრებო, ჩვენს აქციას უერთდება ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. ტაშით მივეგებოთ მათ!

პალიკო კუბლაშვილი მიკროფონთან მიდის, მარჯვენა ხელის მტევანს მუშტად შეკრავს, იდაყვში მოხრის, მაღლა ასწევს და მთელის ძალით დასჭექს — მამულიშვილნო!!!

ხათუნა ოჩიაურს და ხათუნა გოგორიშვილს თვალზე ცრემლი მოადგებათ.

გიგა ბოკერია კი თავის გამოსვლას ასე დაამთავრებს — ღმერთი ჩვენთანაა!

ხომ მაგარია?



რუსთავი 2-ზე და „იმედზე“ დაიხურება „პროფილი“, „ნანუკას შოუ“ და კიდევ ბევრი გადაცემა, სამაგიეროდ ან „მაესტროზე“, ან ტვ9-ზე გაჩნდება გადაცემა „ანფასი“ და „და ამის“ „შოუ მურმან დუმბაძესთან ერთად“, ასევე სარეკლამო რგოლი სლოგანით „ახალი ამბები მზადდება აქ“.

მოკლედ რომ ვთქვა, ქუჩასა და მედიაში ბევრი რამ შეიცვლება.

ახლა ვნახოთ, თუ რა მოხდება სასამართლოში, მთავრობასა და ბიზნესში.

აქაც კარგა გვარიან ცვლილებებს უნდა ველოდეთ.

უწინარესად უნდა აღდგეს სამართლიანობა. უნდა დადგეს სამართლიანობის დრო, რადგანაც მოსახლეობას უპირველესად სწორედ ამის იმედი აქვს.

ერთხელ სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, სამართლიანობის აღდგენაა და ეს სულაც არ არის რთული, ან დროში გაწელილი პროცესი, რადგანაც სამართლიანობის აღდგენას არანაირი ინვესტიციები არ სჭირდება. აქ უმთავრესი მხოლოდ პოლიტიკური ნებაა.

ბუნებრივია, რომ ბევრს მოსთხოვენ პასუხს. მოსთხოვენ იმ უკანონობებზე, იმ დანაშაულობებზე, რომლებიც მათ ჩაიდინეს.

იხ. 6 გვ.

ფინანსები

# რა მდგომარეობაშია ქვეყნის „ქისა“?

## მომავალი და ამჟამინდელი ბიუჯეტები – „ოცნების“ მთავარი სამიზნე

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი და მისი გუნდი მინისტრთა კაბინეტის შედგენაზე მუშაობას დღეიდან იწყებენ. როგორც ივანიშვილმა განაცხადა, შემადგენლობაზე ჯერ არა აქვს ჩამოყალიბებული აზრი, რადგან კოალიციაში არავინ იცის, ვის რას უპირებენ.**

**„ზუსტ დროს ვერ მოგახსენებთ, თუ როდის დავასახელებ. ამას დრო სჭირდება, თუმცა, ეს სასწრაფო არ არის. კარგად გავიაზრებთ და თავის დროზე წარმოგიდგენთ“,** – განაცხადა ივანიშვილმა.

**ერთადერთი რაც „ოცნების“ ლიდერმა დაუფარავად განაცხადა, ისაა, რომ ვერც მერაბიშვილი და ვერც ერთი ამჟამინდელი მინისტრი მისი გუნდის წევრი ვერ გახდება.**

არადა, „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად სწრაფი ტემპით მოუწევს საქმეში გარკვევა და მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის ჩამოყალიბება. ერთი-ერთი უმთავრესი პრობლემა ამჟამინდელი ბიუჯეტის მდგომარეობა და მომავლის ფორმირებაა. 2012 წლის ბიუჯეტის სავალალო მდგომარეობაზე ივანიშვილი ჯერ კიდევ არჩევნებამდე აკეთებდა მინიშნებას. რაც შეეხება 2013 წლის ქვეყნის მთავარ ფინანსურ დოკუმენტს, ჯერ მისთვის არავის მოუცლია.

არადა, იმ უამრავი დაპირების შესასრულებლად, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩევლის წინაშე დადო, სწორედ მომავალი ბიუჯეტი იქნება გადამწყვეტი. სხვათა შორის, 2013 წლის ბიუჯეტის პროექტი უკვე მზადაა (უშუალოდ არჩევნების წინ დასრულდა მასზე მუშაობაძ, მაგრამ იგი ნაციონალი მოხელეების მიერ არის შედგენილი და ამიტომაც მის პარამეტრებს მომავალი ხელისუფლება ვერაფრით გაიზიარებს.



ცხადია, რომ 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცება მე-8 მოწვევის პარლამენტს მოუწევს. 2013 წლის ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ყველა პრიორიტეტული სფეროს დაფინანსება. 2013 წლის ბიუჯეტის პროექტით ირკვევა, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 29,3%-ით და განისაზღვრება 2 339,5 მლნ ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხის ფარგლებში: მოსახლეობის სოციალურ დაცვასა და საპენსიო უზრუნველყოფაზე მიიმართება 1 830,5 მლნ ლარი. გათვალისწინებულია საპენსიო პაკეტის ზრდა 100 დოლარამდე, 1000-ლარიანი ვაუჩერები და სხვა სოციალური დახმარებები;

ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობისთვის მიიმართება 450 მლნ ლარი, საიდანაც 323,6 მლნ ლარი მოხმარდება მოსახლეობის დაზღვევას. სახელმწიფო დაზღვევის არსებულ ბენეფიციარებს დაემატება ახალი კატეგორიის ბენეფიციარები და ჯამში 2013 წელს დაზღვეულთა რაოდენობა მიაღწევს 3 მლნ ადამიანს.

ცნობილი ხდება ასევე, რომ 2013 წლისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება იზრდება 22,4%-ით. გამოყოფილი თანხის ფარგლებში უფრო მეტი მოცულობით დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება, სარწყავი სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და სხვა პროგრამები. სამინისტროს დაფინანსების ზრდის გარდა, სოფლის განვითარების მიზნით კიდევ უფრო დიდი მოცულობით გაგრძელდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსება, მათ შორის, სოფლებთან დამაკავშირებელი და სოფლის გზების რეაბილიტაცია, სოფლების გაზიფიცირება და გამრიცხველიანება, წყლის სისტემების რეაბილიტაცია, სოფლების ინტერნეტიზაცია და სხვა პროგრამები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება იზრდება 6,5%-ით. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გაგრძელდება სერტიფიცირებული მასწავლებლების ხელფასების ზრდა, უფრო მეტი მოცულობით დაფინანსდება საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ახალი სკოლების მშენებლობა. გაგრძელდება მომავლის კლასების გახსნა, სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა, პროფესიული განათლების ვაუჩერების და სხვა საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსება.

რა თქმა უნდა, წარმოდგენილ ბიუჯეტს ახალი ხელისუფლება არაფრით დაეთანხმება. გამორიცხული არ არის, ივანიშვილმა საერთოდ უკუაგდოს ნაციონალების მიერ წარმოდგენილი პროექტი და თავის მთავრობას დაავალოს ქვეყნის უმთავრეს ფინანსურ დოკუმენტზე მუშაობა. ასეთ შემთხვევაში, დიდი ალბათობით, 2013 წლის ბიუჯეტის მიღება კანონიერ ვადებში (2012 წლის 30 დეკემბრამდე) ვერ მოხერხდება. შემდეგ რა მოხდება, ეს უკვე ძალიან ძნელი გასარკვევია...

**ეკა ბაქრაძე**

ფრთხილად, ნაცზონდერებს არ სძინავთ!

# ლადო ბედუკაძე: „თუ გადავრჩი და არ მომკლეს, ყველაფერს ვიტყვი“!

**ლადო ბედუკაძე ივანიშვილს დახმარებას სთხოვს, „თუ გადავრჩი და არ მომკლეს, ყველაფერს ვიტყვი“! — ამის თაობაზე ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია.**

**„კოალიცია „ქართული ოცნება“ გამარჯვებას ზეიმობს. ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ მან ზუსტად გათვალა ყველაფერი და უკომპრომისო მუშაობის შედეგად ჩაუსახა ქართველ ხალხს იმედი. თუმცა, დღეს უკვე აღარავის ახსენდება ის ადამიანი, რომელმაც ხერხემალში გადატეხა სააკაშვილის რეჟიმი და ივანიშვილის კოალიციასაც გაუკვალა გზა გამარჯვებისკენ — ეს გახლავთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი ვლადიმერ ბედუკაძე. რომ არა ამ ადამიანის მიერ გამოტანილი ვიდეოჩანაწერები გლდანის საპყრობილიდან, „ქართული ოცნება“ ვერ მიაღწევდა ასეთი დამაჯერებელი ანგარიშით მოგებას, აქ ორი აზრი არ არსებობს“.**

**ვლადიმერ ბედუკაძის ოჯახი ამჟამად სტამბულში იმყოფება ასევე საფრთხის ქვეშ. როგორც ბედუკაძე აცხადებს, ის ყველამ მიატოვა და იმდენსაც ვერ ახერხებს, ბიძინა ივანიშვილს დაუკავშირდეს ნდობით აღჭურვილი პირის საშუალებით“.**



**„როგორც ვიცი, ჩემი ოჯახი თბილისიდან გააცილეს არასამთავრობოების წარმომადგენლებმა გელა ნიკოლეიშვილმა და უჩა ნანუაშვილმა, კიდევ ვინ იყვნენ, არ ვიცი. აეროპორტიდან მარტონი გამოფრინდნენ სტამბულში. უკვე 10 დღეა, მათთან იმყოფება „ობიექტივის“ ორი ჟურნალისტი, ორივეს ნინო ჰქვია, გვარები არ მახსოვს. რაკი ესენი პატრონობენ, ესე იგი „ობიექტივია“ ჩართული მაგ საქმეში, ხომ? მათ ჩამოყვანას რა უდგას წინ, არ ვიცი, ვითომ ვიზას ამზადებენ და ამასობაში დრო იწელება, რაც ჩემზე ფსიქოლოგიურად მოქმედებს. მე მგონი, სპეციალურად წელავენ დროს, სხვა მიზეზს ვერ ვხედავ. როგორც კი ჩემი ცოლ-შვილი ბრიუსელში ჩამოვა, მე ავტომატურად ვიღებ პოლიტიკურ თავშესაფარს. რაც შეეხება ინტერპოლით ძებნას, კომისარიატში დავდივარ ყოველდღე, ეს არის ჩვეულებრივი პოლიცია. თუ ჩემი დაკავება უნდათ, იქიდან ვინ გამომიშვებს? ამას აკეთებენ ჩემს შესაშინებლად. მაგათ ბელგიამ სთხოვა, საქმე გადმოგვეცითო — არც არაფერი გამოუგზავნიათ და არც არაფერი მოუთხოვიათ“,** — აცხადებს ვლადიმერ ბედუკაძე.

**„ჩემთან კონტაქტზე ბიძინა ივანიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი აქამდეც უნდა გამოსულიყო... ვიღაცები ჩამოვიდნენ ბრიუსელში, იძახიან, ივანიშვილის წარმომადგენლები ვართო, მაგრამ მე ნამდვილად ვიცი, რომ ისინი არ არიან. მაგათ მოისმინეს ჩვენი საუბარი და გამოაგზავნეს როგორც ივანიშვილის ხალხი — ამათ უნდათ, როგორმე უნგრეთში ჩამიყვანონ, იქ დამაკავონ, მერე გადმომაფრინონ თბილისში და მიიღონ აღიარებთი ჩვენება. მე რა ინფორმაციაც მაქვს, ყველაფერი რომ ვილაპაკო, კიდევ უფრო დამძიმდება მაგათი საქმე. — ისეთი ფაქტებია, ვერც ერთი ვეღარ გამოძვრება!“** — დასძენს ლადო ბედუკაძე.

**„თუ გადავრჩი და არ მომკლეს, ყველაფერს ვიტყვი, აქ ყოფნის პერიოდში ბევრი რამე გავიგე. ახლა ზოგიერთი ბრიუსელში მივრცელებს ჭორებს, თითქოს მე სააკაშვილის ზონდერი ვარ. თუ ვინმეს ჩემი დახმარება უნდა და მერე გადაგდება, არ გამოუვა, სანამ ცოცხალი ვარ. ახლა ჩემთვის მთავარია ოჯახი, რომელიც მძევლად ჰყავთ სტამბულში და ამით აშანტაჟებენ. ვერ ვლაპარაკობ, სანამ ცოლსა და ბავშვებს არ გამოვიხსნი. არანაირად არ აწყობთ ჩემი დამოუკიდებლობა და სიმართლე, ყველა მოღალატე აღმოჩნდა... დამიჯერე, აქაც მარტო დავრჩი და რომ არა ორი მეგობარი, ახლა ან მკვდარი ვიქნებოდი, ან კიდევ თბილისში ირაკლი ოქრუაშვილივით აღიარებით ჩვენებას მივცემდი. აღარავის აღარ ვენდობი ბიძინა ივანიშვილის გარდა... შენც გენდობი რაღაცნაირად, ვიცი, რომ დამეხმარები“,** — ამბობს ბედუკაძე და შეკითხვას — **„რაც შემიძლია, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში, დაგეხმარები. გირჩევ არ გაჩუმდე, დუმილი შენს წინააღმდეგ მუშაობს“...,** — პასუხობს — **„ვიცი და ამიტომ მჭირდება შენი დახმარება“.**

ინტერპრესნიუსი

**„სრ“ რედაქციისგან: „ქართულმა ოცნებამ“, ქართველმა ხალხმა ხმა უნდა აღიმაღლონ ციხის კადრების მზის სინათლეზე გამომტანი ლადო ბედუკაძის და გაბედულებით, პრინციპულობით, მიუკერძოებლობით გამორჩეული ჟურნალისტის ირმა ინაშვილის დასაცავად. ნაცების მიერ ჩადენილი შემზარავი დანაშაულობების ახალი კადრების წარმოსაჩენად თავისუფალი სიტყვის მსახურთა სიცოცხლე ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ!**

ინფორმაცია

## ზვიად ძიძიგური – სასჯელთა შეკრებითობის პრინციპს გავაუქმებთ, გადაიხედება პარტიების შესახებ კანონიც

**კოალიცია „ქართული ოცნება“ პარლამენტში შესვლის შემდეგ სასჯელთა შეკრებითობის პრინციპს გააუქმებს. ამის შესახებ გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა.**

**— ერთი რამ დანამდვილებით შემიძლია გითხრათ. პარლამენტში შესვლის შემდეგ ჩვენ სასჯელთა შეკრებითობის პრინციპს გავაუქმებთ, — აღნიშნა ძიძიგურმა. მისვე თქმით, ასევე გადაიხედება „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ კანონი.**

**— კანონი სამართლიანი უნდა იყოს. რა კანონიც მიხეილ სააკაშვილმა მიიღო ყველა ხელისუფლებისთვის მომგებიანია. კანონი კი ისეთი უნდა იყოს, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას თანაბარი პირობები ჰქონდეს პოლიტიკური საქმიანობისთვის, — განაცხადა ძიძიგურმა.**

## მამუკა კაციტაძე თანამდებობას ტოვებს

**სიების დაზუსტების კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე თანამდებობას ტოვებს და კომისიის რიგით წევრად რჩება.**

**ეს განცხადება მამუკა კაციტაძემ გუშინ, კომისიის სხდომის შემდეგ გააკეთა. კაციტაძე აცხადებს, რომ მიუხედავად თანამდებობიდან წასვლისა, კვლავ იღებს პასუხისმგებლობას კომისიის საქმიანობაზე, რომელიც კომისიამ შექმნის დღიდან დღემდე განახორციელა.**

**— მე ნათქვამი მქონდა, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ჩემს თავს ველარ მოვიაზრებდი ამ თანამდებობაზე. რის გამოც დღეს მე მივმართე კომისიას და დავტოვე თანამდებობა, — განაცხადა კაციტაძემ.**

**ვინ გახდება კომისიის თავმჯდომარე, ჯერ უცნობია. კაციტაძის განმარტებით, კანონმდებლობით ამ პოსტზე შესაძლებელია, მისი მოადგილე ან ოპოზიციონერი წევრებიდან რომელიმე დაინიშნოს.**

**დღესვე კაციტაძემ ჟურნალისტებს არჩევნების დღეს ჩატარებული მონიტორინგის შედეგები გააცნო. მისი განცხადებით, კომისიამ განახორციელა მონიტორინგი დაზუსტებულ სიასა და სამაგიდო სიას შორის და დარღვევებს ადგილი არ ჰქონია.**

**— კომისიაზე ყველამ ერთხმად გამოთქვა კმაყოფილება, რომ პრინციპში არ ყოფილა პრობლემა სიასთან დაკავშირებით. თემა, რომელიც მუდმივად ითვლებოდა პრობლემად, თემა, რომელზეც მოხდა 2003 წლის რევოლუცია, ამ არჩევნების შემდეგ პრობლემათა ნუსხაში არც კი მოიხსენიებოდა, რაშიც ჩვენი მოკრძალებული წვლილიც არის, — განაცხადა კაციტაძემ.**

**კომისიამ მუშაობა გასული წლის 17 ნოემბერს დაიწყო და უფლებამოსილება 2012 წლის ბოლოს უწყდება.**

ინტერპრესი

ნინიას ბაღი

# პრემიები... პატიმრების ცემა-წამებისთვის?!

**ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი ჯობიაო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. ამ გამონათქვამის სისწორე კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც ქართულ ციხეებში არსებული გაუსაძლისი მდგომარეობა საკუთარი თვალით ვიხილეთ. მართალია, ყველამ იცოდა, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ყველაფერი რიგზე არ იყო, მაგრამ ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ანალოგიური რამ შეიძლება ითქვას ამ სისტემის სულისჩამდგმელთა ქონებაზე, მათ შემოსავალზე. ამის შესახებ ქართულ პრესაში ადრეც თქმულა და დაწერილა, მაგრამ გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა ჩვენი მკითხველითვის.**

## „სათუთ-ხათუნი“

**„სათუთი მინისტრი“ — ამ ეპითეტით მოიხსენიებს „მაესტროს“ პოპულარული გადაცემა „ყოველდღიური ა(მ)ბების“ წამყვანი ვასიკო ოდიშვილი ხათუნა კალმახელიძეს, რომელიც გვარწმუნებდა — ქართულ ციხეებში ლამის ოთხვარსკვლავიანი სასტუმროს საკადრისი პირობები შევქმენითო... 2010 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით კალმახელიძე თბილისში, ნიკოლაძის ქუჩაზე, 15 კვმ ფართობის ავტოფარეხს ფლობდა. 2011 წლის ქონებრივი დეკლარაციის თანახმად კი მის ქონებას 100 კვმ ფართობის ბინაც შეემატა, რომელიც კრწანისის პირველ ჩიხში მდებარეობს. ყოფილი მინისტრის უძრავ-მოძრავ ქონებას „ჰიუნდაის“ მარკის ავტომანქანა და „როლექსის“ საათიც ამშვენებს.** რაც შეეხება მის მიერ გაწეული „შრომისა და ღვაწლის“ ანაზღაურებას — 2011 წელს ხათუნა კალმახელიძის წლიური შემოსავალი 97 355 ლარი ყოფილა: წლიური ხელფასი 42 480, ხოლო პრემია — 54 875 ლარი (ეს მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ საინფორმაციო სააგენტო „პირველისა“ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ვებგვერდებზეძ.



2012 წელი „სათუთი“ მინისტრისათვის უიღბლო აღმოჩნდა, რადგან პატიმართა წამების ამსახველი კადრების გავრცელების შემდეგ იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა თანამდებობა, რომელსაც ასეთი „სიყვარულით“, „გულმოდგინედ“ ემსახურებოდა.

## ჩვენი დროის „გმირები“?!

**ამ მახინჯი სისტემის ერთ-ერთი შემოქმედი ბაჩო ახალაია, შეიძლება ვიღაცისთვის მართლაც გმირია. გავიხსენოთ, პრეზიდენტმა ის თავდაცვის მინისტრად იმიტომ გადაიყვანა, რომ თურმე პენიტენციურ სისტემაში „გაქაჩა“. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მინისტრების ქონებრივი დეკლარაციებიდან გაირკვა, რომ 2009 წელს ბაჩო ახალაიამ თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე „სულ რაღაც“ 70 ათას 865 ლარი გამოიმუშავა. 2011 წლის დეკლარაციიდან ირკვევა, რომ თავდაცვის მინისტრმა თბილისში, დოლიძის №46-ში 118 კვმ ბინა შეიძინა 80 000 ლარად. წინამძღვრიშვილის №17-ში მდებარე ბინა და სარდაფი კი 120 000 ლარად გაასხვისეს.**

ალბათ, მკითხველს დააინტერესებს, როგორი იყო „ჩვენი დროის გმირის“ ანაზღაურება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ მუშაობისას. ბაჩო ახალაიამ ამ თანამდებობაზე მუშაობისას პირველ წელს მიიღო 32 000 ლარი, ხოლო მეორე წელს — 26 000 ლარი.

არანაკლებ შემოსავლიანი ყოფილა პენიტენციური სისტემა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრ დიმიტრი შაშკინისათვის: 2009 წელს ამ პოსტზე მუშაობისას შაშკინს 70 886 ლარი გამოუმუშავებია, აქედან წლიური ხელფასი 42 480 ლარს, ხოლო პრემია 28 406 ლარს შეადგენდა.

## კიდევ ერთი „გმირი“, გვარად — ჭაკუა



**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის დავით ჭაკუას შემოსავალი 2008 წელს 38 000 ლარი ყოფილა, აქედან წლიური ხელფასი 24 600 ლარი, ხოლო პრემია — 13 400 ლარი. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ყოფნისას, 2010 წელს, ჭაკუას წლიური შემოსავალი 70 250 ლარი იყო: აქედან წლიური ხელფასი 30 240, ხოლო პრემია — 40 010 ლარს შეადგენდა. 2011 წელს ჭაკუას წლიური შემოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა და 93 090 ლარი გახდა, საიდანაც წლიური ხელფასი 30 240 ლარი იყო, ხოლო პრემია — 62 850 ლარი.**

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, თუმცა, ჩვენს საზოგადოებაში გაჩნდა კიდევ ერთი მტკივნეული კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს — რისთვის ვუხდიდით ამ ხალხს პრემიებს — პატიმრების ცემა-ტყეპისა და წამებისთვის?!

ხათუნა ჩიგოგიძე

დამარცხება გამარჯვების შემდეგ



# ავაშენოთ, ოღონდ მყარად

(მეოთხე გვერდიდან)

**ღმერთმა დამიფაროს, რომ ვინმეს ციხეში გაშვებაზე ვოცნებობდე, მაგრამ არ შეიძლება, არ დაისაჯონ ბუტა რობაქიძის, სანდრო გირგვლიანის, ზურაბ ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის და კიდევ მრავალი ადამიანის მკვლელები. არ შეიძლება, არ დაისაჯონ ისინი, ვინც ხალხის ღირსებას, ადამიანობას თელავდა. არ შეიძლება, არ დაისაჯონ პენსიონერების, ავადმყოფების, ბავშვების, რიგითი მოქალაქეების ხარჯზე გამდიდრებული და გაქსუებული ნაძირლები. არ შეიძლება, არ დაისაჯონ ისინი, ვინც ამას აკანონებდა და ყველაფერ ამ უბედურებას ხელს უწყობდა.**

შეიცვლება აბსოლუტურად ყველა სტრუქტურის ძირითადი რგოლი.

როდესაც ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, ბოლშევიკებმა ძველი „სპეცები“, დაწყებული რიგითი „გოროდავოიდან“, დამთავრებული გამოცდილი ინჟინრებით, შეცვალეს. სასწრაფოდ შექმნეს სასწავლებლები, ანუ ე.წ. „მუშფაკები“ და თავიანთი სპეციალისტებით დააკომპლექტეს ყველა სახელმწიფო სტრუქტურა.

დღეს საქართველოში ასეთი „ფუფუნების“ საშუალება არ არის. ამიტომ ე.წ. „საშუალო რგოლებს“ საფრთხილო არაფერი აქვთ. ამიტომ ისინი, ვისაც კრიმინალური დანაშაული არ ჩაუდენია და კომპიუტერში ფეისბუკისა და „ზუმას“ თამაშის გარდა კიდევ რაღაც იციან, თავიანთ ადგილებზე დარჩენის დიდი შანსი აქვთ.

გიორგი ბარამიძემ ნაციონალური მოძრაობის ბრიფინგზე განაცხადა, რომ იმასთან დარჩენას და მუშაობას არც ერთი ჩვენი მინისტრი არ აპირებსო.

ისეთი ტონით განაცხადა, თითქოს კალთებს ახევდა ვინმე ან შაშკინს, ან დეკანოიძეს, ან ქობალიას, ან გოროზიას.

ბაქრაძემ კი „ნათლად“ აგვიხსნა, თუ როგორ შეუძლიათ შექმნან ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი და როგორ შეუძლიათ დანიშნონ ზუსტად ექვს თვეში ახალი არჩევნები და შემდეგ „დაგვამადლა“, ჩვენ ამის გაკეთებას არ ვაპირებთ, იმიტომ რომ დემოკრატიული ფასეულობები ჩვენთვის ძალიან ძვირფასიაო.

**ბატონო დავით, კარგით რა!**

ყველამ კარგად იცის, რომ თქვენთვის დემოკრატიული ფასეულობები კი არა, საკუთარი ტყავია ძვირფასი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითძ, რადგანაც კარგად იცით, რომ ნებისმიერ გაფაფხურებას, ქვეყანაში სიტუაციის არევის მცდელობასაც კი ქართველი ხალხი არ გაპატიებთ და „ტეფალის უთოთი გაუთოვებულ“ ტყავებს ზოლ-ზოლ გაგაძრობთ.

ბიზნესშიც საკმაოდ დიდი ძვრებია მოსალოდნელი.

ლონდონის ბირჟაზე საქართველოს ბანკს ექსპრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ძმა აღარ წარადგენს. აღარც კიდევ ერთ ექსპრემიერ ვლადიმერ გურგენიძეს აღარ ექნება პენსიების დარიგების სიამოვნება. დაიწყება სასამართლო პროცესები უკანონოდ ჩამორთმეული ქონებისა, თუ წართმეული ბიზნესის დასაბრუნებლად.

რაც შეეხება დედაქალაქს და განსაკუთრებით მის ე. წ. არჩეულ მერს, გიგი უგულავას, საკმაოდ რთულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. როგორც მოგეხსენებათ, უგულავა ასე ვთქვათ, „არჩეული მერია“ (რატომ და საიდან, კაცმა არ იცის, მაგრამ ასეაძ. ამიტომ მისი მოხსნა შეუძლებელია. ე. ი. რჩება მხოლოდ ერთი ვარიანტი: უგულავა უნდა დაიჭირონ. არადა სულო ცოდვილო, რა დასამალია და, მიზეზი იმდენია, მსოფლიოს ყველა დედაქალაქის მერს ეყოფა. ვნახოთ, რომელს აირჩევს ახალი პროკურატურა.

ეს ყველაფერი მოხდება. აუცილებლად მოხდება, მაგრამ სავარაუდოდ საკმაოდ უცნაურად. დიახ, საკმაოდ უცნაურად, რადგანაც ქართველები უცნაური ხალხი ვართ.

რატომ? ახლავე მოგახსენებთ:

**1. ოპოზიციას ჰყავს ოფიციალურად შეიარაღებული სპეცრაზმი.**

**2. ოპოზიცია აკონტროლებს საარჩევნო კომისიას.**

**3. ოპოზიცია დედაქალაქში მოძრავ ტრანსპორტზე ახორციელებს ე. წ. მონიტორინგს და მგზავრებს აჯარიმებს.**

**4. ოპოზიციამ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მისივე თქმით, მოსახლეობა დაასაქმა. გააუმჯობესა ჯანდაცვა, განათლება, ტურიზმი, ტრანსპორტი, საგარეო ურთიერთობები, სამართლებრივი სისტემა, სოფლის მეურნეობა, კიდევ უფრო მეტ სარგებელს ჰპირდებოდა ხალხს, მაგრამ არჩევნები მაინც წააგო.**

**5. ოპოზიციას შეუძლია პოლიტიკური კრიზისის გამოწვევა, მაგრამ არ აკეთებს.**

**6. ოპოზიცია აპირებს, მისხალ-მისხალ გააკონტროლოს ხელისუფლება.**

**7. ოპოზიციას...**

**8. ოპოზიციას...**

**და ბოლოს: — ქვეყნის პრეზიდენტი ოპოზიციის ლიდერია, რომელიც კონსტიტუციით ძალოვნებს აკონტროლებს.**

მოკლედ რომ ვთქვა, დიდი ამბებია მოსალოდნელი საქართველოში, რადგანაც ქვეყანა ნულოვანი ნიშნულიდან კი არა, მინუსიდან არის ასაშენებელი.

ჩვენც მეტი რა საქმე გვაქვს? ავდგეთ და ამათი დანგრეული ხელახლა ავაშენოთ.

**ავაშენოთ, ოღონდ ისე კი არა, რომ კედლები უგულავას „პლეხანოვივით“ ჩამოგვეხეს. მყარად და კარგად ავაშენოთ.**

გია გაბრიჭიძე

ინფორმაცია

## აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ივანიშვილის მთავრობისგან სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას ელოდება

**საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება არ ნიშნავს, რომ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდება საქართველოსა და აფხაზეთის ურთიერთობებში, — ამის შესახებ აფხაზეთის დე ფაქტო პარლამენტის ე.წ. ვიცე სპიკერმა ემა გამისონიამ რუსულ მედიასთან საუბარში განაცხადა.**

**გამისონია ამით კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გამოეხმაურა, სადაც ივანიშვილმა თქვა, რომ „აფხაზებს და ოსებს უნდა მოვეფეროთ. უფრო მეტი სითბო და სიყვარული მივცეთ“. — ასეთ პოლიტიკურ ხელოვნებას ქართული მხრიდან აფხაზეთში უკვე შევეჩვიეთ. იგივე განცხადებები კეთდებოდა, როდესაც სააკაშვილის მთავრობა მოვიდა სათავეში. მთავარი სიტყვები კი არა, მოქმედება და პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმაა. თუ ქართული მხარე ხელს მოაწერს სამშვიდობო ხელშეკრულებას, მაშინ შეიძლება საქართველოსთან ნებისმიერ ფორმატში მოლაპარაკებების გამართვა, — განაცხადა ემა გამისონიამ.**

ინტერპრესი

მომავლის მთავრობა

# ვინ დაიკავებს მაღალ სავარძლებს?

## როგორი იქნება ბიძინა ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტი?

„ახალ მინისტრთა კაბინეტს ჯერ ვერ დაგისახელებთ, თუმცა გეტყვით, რომ არც ერთმა გუნდის წევრმა არ იცის, ვის რას ვუპირებ. ეს ჯერ შიდა განსახილველი თემაა, შევეცდებით გუნდურად დავაბალანსოთ ეს ყველაფერი“. — განაცხადა 2 ოქტომბერს გამართულ პრესკონფერენციაზე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე თქმით, მათი უპირველესი საზრუნავია სისტემურად შეასრულონ ყველა გაცემული დაპირება. მან ასევე თქვა, რომ ვანო მერაბიშვილი და ძველი მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი ახალ მთავრობაში არ იქნება, რაც შეეხება მომავალი პარლამენტის თავმჯდომარის კანდიდატურას, ივანიშვილის განცხადებით, სიის პირველი ნომრობა ავტომატურად ამ თანამდებობაზე წარდგენას არ ნიშნავს და კახი კალაძე, რომელიც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერია, აუცილებელი არ არის, ამ თანამდებობაზე იყოს წარდგენილი.



იმის მიუხედავად, რომ მიხეილ სააკაშვილმა აღიარა დამარცხება და განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი ოპოზიციაში მიდის, ის პრეზიდენტის თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. ამის თაობაზე განცხადება ჯერ უშიშროების მდივნისგან გიგა ბოკერიასგან მოვისმინეთ, შემდეგ კი იგივე გაიმეორა ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ. ასევე, პრეზიდენტი და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წარმომადგენლებიც აცხადებენ, რომ მიუხედავად პრეზიდენტის ხელში არსებული ბერკეტებისა, ის ხელისუფლებაში მოსულ ძალას მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბებაში ხელს არ შეუშლის. უკვე დაწყებულია მითქმა-მოთქმა იმაზე, მოითხოვს თუ არა ამის სანაცვლოდ „ნაციონალური მოძრაობა“ ერთი ან ორი მინისტრის პორტფელს მომავალ მინისტრთა კაბინეტში.

ექსპერტ სოსო ცისკარიშვილის აზრით, ამგვარი მოთხოვნისთვის „ნაციონალურ მოძრაობას“ არავითარი საფუძველი არ აქვს, რადგან მოქმედი კანონმდებლობით მინისტრთა კაბინეტს სრულად აკომპლექტებს პარლამენტში უმრავლესობით მოსული პოლიტიკური ძალა. „ნაციონალურ მოძრაობას“ ამგვარი პრეტენზია თუ აქვს, იქნებ, საკუთარი სახელისუფლო მოღვაწეობიდან გაიხსენონ მაგალითი იმისა, თუ როგორ დაუთმეს რამდენიმე მინისტრის სავარძელი რომელიმე ოპოზიციურ ძალას. ასეთი რამ არ უქნიათ, შესაბამისად, არც რაიმეს მოთხოვნის უფლება აქვთ. უკვე ცხადად ითქვა, რომ სააკაშვილი არ გადადგება, ეს არის აბსურდული რამ. არც ერთ ქვეყნაში პრეზიდენტი საკუთარ თავთან ოპოზიციაში არ არის. სააკაშვილი ან პრეზიდენტის თანამდებობიდან უნდა წავიდეს, ან „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის პოსტიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, ამის უფლებას მისი პარტიული შლეიფი არ მისცემს და იგი გააგრძელებს ამგვარ ერთმანეთთან შეუთავსებელი სტატუსებით არსებობას“, — აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

გამარჯვებული კოალიციის პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი რომ ბიძინა ივანიშვილი იქნებოდა, ეს ამ კოლიიციის ჩამოაყალიბებისთანავე გახდა ცნობილი. კანონის თანახმად, პრემიერ-მინისტრს წარადგენს პრეზიდენტი, ცოტა წარმოუდგენელი კი არის, მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში ხმამაღლა ვერ ამბობდა კოალიციის ლიდერის გვარ-სახელს, სწორედ ის წარადგინოს პრემიერობის კანდიდატად.

სოსო ცისკარიშვილი: „ის, რომ მიხეილ სააკაშვილმა ასე მშვიდად აღიარა დამარცხება, არის საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური სამსახურების და საერთაშორისო დამკვირვებლების დამსახურება, რომლებმაც არჩევნების დასრულებისთანავე მოახერხეს შეუძლებელი და დაარწმუნეს სააკაშვილი, ეღიარებინა დამარცხება. ის ხალხი, ვინც მოახერხა სააკაშვილის მობრუნება რამდენიმეწლიანი ისტერიკიდიან, ასევე მოახერხებს, რომ პრემიერ-მინისტრად სწორედ ბიძინა ივანიშვილი იყოს წარდგენილი“.

ექსპერტები ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების აუცილებლობაზეც საუბრობს. მათი თქმით, აუცილებელია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების რეორგანიზაცია.

როგორი იქნება ბიძინა ივანიშვილის მინისტრთა კაბინეტი და ვინ იქნება პარლამენტის თავმჯდომარე? ამის თაობაზე კულუარულად უკვე დაიწყო მსჯელობა და შესაბამისად ვრცელდება არაოფიციალური ინფორმაციებიც. გავრცელებული ინფორმაციით, პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე, სამი კანდიდატურა განიხილება, ესენია: ირაკლი ალასანია, ვახტანგ ხმალაძე და დავით უსუფაშვილი. თუმცა ამბობენ იმასაც, რომ ყველაზე რეალური უსუფაშვილის ვარიანტია. ირაკლი ალასანიას კი ბიძინა ივანიშვილი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კოალიციის სახელით მონაწილეობას შესთავაზებს.

სავარაუდოდ, სამომავლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ნაწილად დაყოფა იგეგმება, ამაზე სერიოზული ნაშრომი აქვთ მომზადებული „თავისუფალ დემოკრატებს“, კერძოდ, ამაზე მუშაობდა მათი წარმომადგენელი ლევან იზორია. დაუდასტურებელი ინფორმაციით, შესაძლოა, სწორედ იზორიას შესთავაზოს ბიძინა ივანიშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრობა. „აბსოლუტურად ადეკვატური კანდიდატურაა, არ ვიცი, რა სიმაღლის თანამდებობას შესთავზებენ, მაგრამ მისი პროფესიონალიზმი უდაოა, ასევე ლევან იზორია მეტად გონიერი და გაწონასწორებული ადამიანია“, — აცხადებს ჩვენთან საუბარში სოსო ცისკარიშვილი.

რამდენიმე წყაროს ინფორმაციით, ივანიშვილი განათლების მინისტრობის გამოცდების ცენტრის ყოფილ დირექტორ მაია მიმინოშვილს შესთავაზებს. საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე კი თედო ჯაფარიძისა და სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურები განიხილება. ასევე რამდენიმე წყაროს ინფორმაციით, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრის პორტფელი შეიძლება პროფესიით ექიმმა, კოალიციის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელმა დავით საგანელიძემ ჩაიბაროს.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოსტი გახლავთ იუსტიციის მინისტრის თანამდებობა. სოსო ცისკარიშვილის თქმით: „ამ პოსტზე თინა ხიდაშელის დანიშვნის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებაც კი საკმარისი იქნება, რომ საქართველოდან ძალიან ბევრმა ადამიანმა გადაწყვიტოს წასვლა და გადაიტვირთოს ავიახაზები. ამას ნახევრად ხუმრობით კი ვამბობ, მაგრამ ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო კანდიდატურა იქნებოდა ქალბატონი თინა ამ თანამდებობაზე“.

მოკლედ, წინ მეტად საინტერესო პოლიტიკური პროცესები გველის. ექსპერტთა დიდი ნაწილი კატეგორიულად გამორიცხავს იმას, რომ მინისტრთა კაბინეტში თანამდებობების გადანაწილება კოალიციის შიგნით შეიძლება რაიმეს სერიოზული დაპირისპირების მიზეზად იქცეს.

ნათია დოლიძე

ინფორმაცია

# არასამთავრობოები არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესის დროს განვითარებულ მოვლენებზე განცხადებას ავრცელებენ

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ არჩევნების შედეგების შეჯამების პროცესის დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ.



როგორც განცხადებაშია ნათქვამი, დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის, ასევე, მედიით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით აშკარაა, რომ ქვეყნის მასშტაბით ხდება სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიებთან პოლიტიკური პარტიების აქტივისტების შეკრება, რომლებიც ზოგჯერ აგრესიულობით გამოირჩევიან.

უბნების გაბათილებისა და გადათვლის მოთხოვნებით აქციები იმართება მარტვილის, სენაკის, თერჯოლის, ამბროლაურის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ლაგოდეხის, ახალქალაქის, ახალციხის, მარნეულისა და თეთრიწყაროს საოლქო საარჩევნო კომისიებთან.

ვრცელდება ინფორმაცია სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიის სამომავლო პიკეტირების თაობაზე. ზუგდიდის საარჩევნო ოლქში ადგილი ჰქონდა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლებზე ზეწოლის ფაქტს იმ მიზეზით, რომ ორგანიზაციის წითელი ლოგო პარტიის აქტივისტის მიერ, კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან იქნა ასოცირებული.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აცხადებენ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა უზრუნველყოს არჩევნების შედეგების დათვლა და კანონდარღვევებზე ადეკვატური რეაგირება, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკურმა პარტიებმა მოუწოდონ საკუთარ აქტივისტებს თავი შეიკავონ საარჩევნო ადმინისტრაციის შენობებთან შეკრებებისგან, რადგანაც არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით დავები მხოლოდ სამართლებრივი გზით უნდა წარიმართოს.

— მოვუწოდებთ, ყველა მხარეს, დავების გადასაჭრელად მიმართონ კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს. ვფიქრობთ, ორივე მხარის ადეკვატური რეაგირების პირობებში შესაძლებელია საოლქო კომისიებთან სიტუაციის განმუხტვა, მით უმეტეს, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება აქვს, უტყუარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევებში, დაფიქსირებული მძიმე დარღვევების საფუძველზე გარკვეული უბნების შედეგები გააუქმოს, რაც სიღნაღის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო. აღნიშნული ქმედებებისგან თავის შეკავება პოლიტიკური პარტიების აქტივისტების დამატებითი გაღიზიანების საფუძველი შეიძლება გახდეს. ასევე, ვთხოვთ დაინტერესებულ მხარეებს, საარჩევნო პროცედურები დარღვევის კონკრეტული ფაქტებისა და მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, მოგვაწოდონ შესაბამისი მასალები, რათა ერთობლივად მოვახდინოთ ეფექტური და დროული რეაგირება.

მიგვაჩნია, რომ საარჩევნო პროცესის დემოკრატიულად და მიუკერძოებლად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია როგორც კენჭისყრის დღის, ასევე, მისი შემდგომი პერიოდის მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარება, — ნათქვამია განცხადებაში.

ამჟამად საოლქო საარჩევნო კომისიებში საჩივრების განხილვის პროცესი მიმდინარეობს.

# ბათუმს ახალი მერი ჰყავს



ბათუმის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე ბათუმის მერად ჯემალ ანანიძე აირჩიეს. მის კანდიდატურას მხარი დაუჭირა საკრებულოს 17 დეპუტატმა, 3 კი წინააღმდეგ იყო.

საკრებულოს სხდომაზე ფრაქცია „ბათუმელებისთვის“ წევრები ბათუმის მერის მოკლე ვადაში დამტკიცებას ეწინააღმდეგებოდნენ. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ, „რესპუბლიკელმა“ ირაკლი ჩავლეიშვილმა აღნიშნა, კანონი არ ზღუდავდა ჯემალ ანანიძეს, ყოფილიყო მერის მოვალეობის შემსრულებელი.

— რა საჩქარო იყო, ერთ საათში მოიწვიეს ბიურო, შემდეგ საკრებულოს სხდომა დანიშნეს და დაამტკიცეს მერი, მაშინ, როცა კანონი არ ზღუდავდა ჯემალ ანანიძეს, ყოფილიყო მერის მოვალეობის შემსრულებელი. ნაჩქარევად, ემოციების ფონზე მიიღეს გადაწყვეტილება, — აღნიშნა ირაკლი ჩავლეიშვილმა.

ამასთან, როგორც ახლად არჩეულმა მერმა ჯემალ ანანიძემ აღნიშნა, იგი იძლევა პირობას, რომ გუნდური მუშაობით გაგრძელდება დაგეგმილი პროექტების დასრულება.

ჯემალ ანანიძე 2010 წლიდან ბათუმის მერის მოადგილედ მუშაობდა, მანამდე კი, მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი იყო.

ბათუმის ყოფილი მერი რობერტ ჩხაიძე აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობდა, რის გამოც თანამდებობა დატოვა.

ჩხაიძემ მაჟორიტარული არჩევნები „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატთან აკაკი ძნელაძესთან წააგო, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერია და, შესაბამისად, აჭარის უმაღლეს საბჭოში მოხვდება.

ინტერპრესი

აქტუალური ინტერვიუ

# ბიძინა ივანიშვილი, რასაკვირველია, ბორის ივანოვად ვერ გადაიქცევა, მაგრამ საქართველოს და რუსეთის ურთიერთობანი გაუმჯობესდება

როდესაც აფასებენ საკითხს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივების შესახებ საქართველოში პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით, გამოცემათა უმრავლესობა ამჟღავნებს ერთ აზრს, რომ ოპოზიციური პარტიის „ქართული ოცნების" გამარჯვება გულისხმობს მოსკოვთან ურთიერთობის „ნორმალიზაციას" და „რუსულ გაზაფხულს" თბილისში.

„ზამანს" მოჰყავს თურქეთის აკადემიური წრეების აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, პროფესორ კამელ კასინის აზრით, საქართველოში დაპირისპირებული პოლიტიკური ბლოკების პოლიტიკაში ძირითადი სხვაობა რუსეთთან დამოკიდებულებაშია. როგორც ექსპერტი ამტკიცებს, რუსეთი არ არის „პოპულარული ქვეყანა" საქართველოში, და ქართველ ხალხს არ სურს ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელთა დაახლოება ზედმეტად რუსეთთან. ბილკენტის უნივერსიტეტის პროფესორი ჰასან ალი კასარი მიიჩნევს, რომ ქართველ ხალხზე უარყოფითად აისახა სავაჭრო და სხვა ურთიერთობათა დაკარგვა რუსეთსა და საქართველოს შორის, ვინაიდან საქართველომ დიდი ზარალი განიცადა ექსპორტის მოცულობაში. ექსპერტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ, მართალია ბიძინა ივანიშვილს არ სურს, შეწყვიტოს რუსეთთან ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობანი, ეს არანაირად არ აისახება საქართველოს თურქეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობაზე.

იგივე გაზეთი მომდევნო ნომერში აღნიშნავს, რომ თავად ივანიშვილი თავის განცხადებაში არჩევნების წინა პერიოდში უარყოფდა მტკიცებებს იმასთან დაკავშირებით, თითქოს იგი არ არის „რუსეთის მომხრე", და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მისთვის პრიორიტეტულ მიზნად რჩება ევროკავშირისა და ნატოს წევრობა. მიუხედავად ამისა, გამოცემა აკეთებს პროგნოზს, არის დიდი ალბათობა იმისა, რომ, როდესაც თბილისი გადაწყვეტს პრობლემებს მოსკოვთან ურთიერთობაში, იგი შეიტანს არსებით წვლილს როგორც კავკასიის, ისე მთელი კასპიშავიზღვისპირეთის რეგიონის უშიშროებაში.



მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხელისუფლებაში მოვიდა „ვარდების რევოლუციის" შედეგად, მიაჩნია ფეხიმ ტაშტეკიმს (გაზეთი „რადიკალი"ქ, არის მნიშვნელოვანი საყრდენი ფიგურა დასავლეთისთვის იმ კამპანიის სარეალიზაციოდ, რომელიც მიზნად ისახავს, რუსეთის გავლენის შეზღუდვას რეგიონში. ავტორი აღნიშნავს, რომ ივანიშვილის მიერ მოსკოვთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პრიორიტეტული ამოცანის შესრულება გულისხმობს ორ გზას: 1. დაბრუნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, საიდანაც საქართველო 2008 წელს გამოვიდა, და 2. ევრაზიულ კავშირში შესვლა, რის შექმნასაც ცდილობს ვლადიმერ პუტინი.

**უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები**

# ქართველებმა თეთრ სახლსაც აამეს და კრემლსაც

ამერიკის პრეზიდენტმა მიულოცა ქართველ ხალხს, რომ მან შეძლო მშვიდობიანი გზით ხელისუფლების შეცვლა. როდესაც დიმიტრი მედვედევი ულოცავდა, აქ მეტი სითბო იგრძნობოდა, წერენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. პუტინი, რომელიც უხეშად ემუქრებოდა სააკაშვილს და კატეგორიულად ამბობდა უარს მასთან კონტაქტებზე, ღებულობს შესაძლებლობას, იქონიოს ურთიერთობა მილიარდერ ბიძინა ივანიშვილთან. „ურთიერთობანი კარდინალურად არ შეიცვლება, მაგრამ მთლიანად ატმოსფერო გაუმჯობესდება", — ასეთ პროგნოზს აკეთებენ მოსკოვში.

ივანიშვილის კოალიციის გამარჯვება საქართველოში ბევრ შეკითხვას სვამს, მაგრამ თავად პარლამენტის არჩევნები იწვევს აღტაცებას, ასეთ კომენტარს აკეთებს „ნიუ-იორკ ტაიმსი". საერთაშორისო მეთვალყურეებმა 1 ოქტომბრის არჩევნები მიიჩნიეს პრაქტიკულად თავისუფლად და სამართლიანად, ორივე მხარემ კი აღიარა არჩევნების შედეგები.

და მაინც, შემდგომი ეტაპი აღსავსეა საფრთხით, დარწმუნებულია გაზეთი: გამარჯვებულებსაც და დამარცხებულებსაც ჯერ კიდევ მთელი წელი მოუწევთ ქვეყნის მართვა ერთობლივად, თუმცა ქართველ პოლიტიკოსთა შორის კომპრომისები მიღებული არ არის. „კიდევ ერთი არასასიამოვნო ამოცანა ახალი მთავრობისა — ეს არის შეასუსტოს დაპირისპირება რუსეთთან, უარი არ განაცხადოს საქართველოს დასავლურ ორიენტაციაზე", — მიაჩნია გამოცემას.

მაშ რა ქნან ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა? ძველებურად ყოველმხრივ წაახალისონ ქართველები დემოკრატიის მშენებლობასა და დასავლეთის ინსტიტუციებში მონაწილეობაზე. თუმცა, ღია ჩარევა ამ საქმეში გამოიწვევს არასასურველ ეჭვებსა და დაძაბულობას", — წერს გაზეთი. არის რჩევა რუსეთისთვისაც: შეწყვიტოს ეკონომიკური ზემოქმედება საქართველოზე.

რასაკვირველია, ბიძინა ივანიშვილის ბლოკის გამარჯვება პარლამენტის არჩევნებში ხელს აძლევს ამერიკის შეერთებულ შტატებსაც და რუსეთსაც, წერს მიხაილ ლუდვიგი, „ფრანკფურტერ ალგემაინის" მიმომხილველი. ამერიკის პრეზიდენტმა მიულოცა ქართველ ხალხს ის, რომ მან მიაღწია ხელისუფლების შეცვლა მშვიდობიანი გზით. „ამით ქართველმა ხალხმა სიგნალი მისცა მთელ რეგიონს, — განაცხადა ბარაკ ობამამ. — ახლა უკვე აღარაფერი გვიშლის ხელს, გავაგრძელოთ თანამშრომლობა საქართველოსთან". რუსეთის პრემიერის მედვედევის მილოცვა გაისმა კიდევ უფრო გულითადად. მისი სიტყვებით, საქართველოს პარლამენტში გაჩნდა „კონსტრუქციული და პასუხისმგებლობის შემგრძნობი ძალები, ვისთანაც „ედინაია როსია" მზადაა, აწარმოოს დიალოგი".

ჯერჯერობით უცნობია, თუ როგორ პოზიციას დაიკავებს ვლადიმერ პუტინი ივანიშვილთან დაკავშირებით, — მსჯელობს ლუდვიგი. — გასაგებია, რომ ახლად გამომცხვარ პოლიტიკოსს მოუწევს შექმნას რთული საგარეო-პოლიტიკური „ბალანსი", ამერიკული და რუსული ინტერესების დაპირისპირების ფონზე არ უნდა დაგვავიწყდეს არც ევროკავშირის ინტერესებიც". თავად პოლიტიკოსის განცხადებით, საქართველოს უშიშროებისა და აყვავების თვალსაზრისით, „არაფერია უფრო უკეთესი, ვიდრე ევროკავშირსა და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლა". პოლიტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი „არ აღიარებს მოსკოვის წითელ ხაზს" ქვეყნის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით.

მიმომხილველის აზრით, მილიარდერის ბლოკი უარს იტყვის „აგრესიულ რიტორიკაზე, რომელიც სააკაშვილისთვის იყო დამახასიათებელი", შემდეგ საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას მოუწევს, „ხელახლა გახსნას საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი აგრარული სექტორი — რუსეთის ბაზარი" და იგი შეეცდება, განაახლოს მოლაპარაკება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ომამდელ დონეზე.

„ივანიშვილს მოუწევს, უმალვე გამოედევნოს ორ კურდღელს, — ასკვნის ლუდვიგი. — ერთი მხრივ, ეს არის ურთიერთობის აღდგენა კონტროლს დაუქვემდებარებელ ტერიტორიებთან და დასავლეთის სამხედრო პოლიტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მეორე მხრივ — პარტნიორული ურთიერთობა დიდ ჩრდილოელ მეზობელთან". რასაკვირველია, არ უნდა ველოდოთ ახალი ლიდერისგან აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას — ეს ნებისმიერი ქართველი პოლიტიკოსისთვის კარიერის ტოლფასია, ვინაიდან ხომ ცნობილია, რომ წინა ტაქტიკები პროვინციებთან დაკავშირებით შემობრუნდა „დამანგრეველი შედეგებით". რუსეთი დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიაში „კონტროლსდაქვემდებარებული არასტაბილურობის" მხარდაჭერით, აღნიშნავს ავტორი, ვინაიდან, როგორც ადრე, ახლაც „სამხრეთი კავკასიის მომავლის გასაღები" მოსკოვშია.

**პრესის მიმოხილვა**

## დედამიწის ზურგზე



**მექსიკის ყურეში თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემდეგ გადარჩა ორივე ამერიკელი და მათ გადაიღეს ვიდეო თავიანთი გადარჩენის შესახებ**

მფრინავ თეოდორ რაიტს უნდა გადაელახა ყურე და მიეყვანა თავისი მგზავრი რაემონდ ფოსდიკი საქმიან შეხვედრაზე, მაგრამ მოულოდნელად კაბინაში გაჩნდა კვამლი და თვითმფრინავი წყალში ჩავარდა. მამაკაცები გამოვიდნენ ყურეში სამაშველო ჟილეტებით, თან წამოიღეს პლანშეტური კომპიუტერი, რომელზეც ჩაწერეს, თუ როგორ „ვაჟკაცურად შეხვდნენ" თავიანთ უბედურებას.

* * *

**ტეხასელი პოლიციელი ქალბატონი გაათავისუფლეს სამსახურიდან ინტერნეტში გულღია ფოტოსესიების გამოქვეყნების გამო**



42 წლის ქალბატონმა, რომელიც თავს პროფესიონალ მოდელს უწოდებს, ქსელში გამოაქვეყნა ასობით თავისი აშკარა ფოტოგრაფია. ამავე დროს ზოგიერთ მათგანზე პოლიციის სერჟანტი აღბეჭდილია სრულიად ტიტველი და საკმაოდ არაორაზროვან პოზაში, ხშირად სადო-მაზოხიზმის ელემენტებით.

* * *

**პუტინი მიემგზავრება ტაჯიკეთში რახმონის იუბილეზე, მისგან „მეფურ საჩუქარს" ელოდებიან**



წყაროების ცნობით, დუშანბეში ელოდებიან მრავალტანჯულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზასთან დაკავშირებით. ყველა საკითხი გადაწყვეტილია, მხარეებს გათვალისწინებული აქვთ, ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას, რომელიც ყველას ხელს აძლევს. მაგრამ ისეთ წარმატებას, რასაც ყირგიზეთმა მიაღწია, დუშამბე არ უნდა ელოდს, აღნიშნავენ ექსპერტები.

* * *

**გერმანიაში დაიჭირეს მოსკოვში დაღესტნელი ჩინოვნიკის გახმაურებულ მკვლელობაში ეჭვმიტანილი**

გამოძიების მონაცემებით, 2009 წლიდან, როდესაც ხასავიურტის მერის 30 წლის ძმისწული ხაბიბ უმახანოვი დაუსწრებლად იქნა მიჩნეული ბრალდებულად რუსეთის სამართალდაცვის ორგანოების მიერ და მასზე გამოცხადდა საერთაშორისო ძიება, იგი ცხოვრობდა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. ამ შემოდგომით დაღესტნელი ჩავიდა გერმანიაში ნათესავების სანახავად და იგი პოლიციამ დააკავა.



# დიდი ომის ირანის ფრონტი

## ქვეყნდება პირველად

1941 წლის 19 სექტემბერს საბჭოთა ჯარები ირანის დედაქალაქში შევიდნენ. ერთდროულად თეირანში შევიდნენ ინგლისელებიც. შაჰის მონარქია დაეცა. ფეხლევების დინასტიის ფუძემდებელი 63 წლის რეზა-შაჰ ფეხლევი, რომელიც ქვეყანას 16 წლის განმავლობაში მართავდა, იძულებული გახდა უარი ეთქვა ტახტზე თავისი 22 წლის შვილის მოჰამედ რეზა ფეხლევის სასარგებლოდ. ასე აიცილეს თავიდან დიდი სისხლისღვრა. წითელმა არმიამ დაიწყო ირანის ჩრდილოეთის კონტროლი, ინგლისელებმა – ამ ქვეყნის სამხრეთისა, რომელიც ასე მდიდარია ნავთობით.

სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ ისინიც კი, ვინც კარგად იცის მეორე მსოფლიო ომის ისტორია, გაოცებული დარჩებიან, როდესაც ამ სტატიის სათაურში წაიკითხავენ სიტყვათშეხამებას „ირანის ფრონტი“. ჯერ კიდევ იმ დიდი ომის შემდეგ ყველა ფრონტი ხომ ცნობილი იყო და მათი შტანდარტებს ჩაატარებენ ხოლმე 9 მაისს მოსკოვში წითელ მოედანზე. მაგრამ ირანის ფრონტი მართლა არსებობდა, თუმცა მას არ ჰქონდა თავისი შტანდარტი და სახელობითი ჯილდოები „თეირანის აღებისთვის“.

ირანის ფრონტი არასოდეს უხსენებიათ პრესაში, არ გადაუციათ რადიოთი, არაფერია ნათქვამი არც ერთ ენციკლოპედიაში, მათ შორის სამხედრო ენციკლოპედიაშიც, რომლებიც გამოიცა როგორც სსრ კავშირის არსებობის პერიოდში, ისე მას მერეც. ირანის ფრონტზე კი მოქმედებდნენ დიდი სამხედრო ქვედანაყოფები, საბრძოლო ტექნიკის უზარმაზარი რაოდენობა, უცნობი ფრონტის სიღრმით მებრძოლი, რომელთა შორისაც ბევრი საქართველოდან იყო და ვისი გმირობის შესახებაც არ იწერებოდა.

ჩემს საოჯახო არქივში ინახებოდა მეტად ძუნწი ცნობები ირანის ამბების შესახებ იმ ომის პერიოდში. ისინი, ვინც მოქმედებდნენ ირანის ფრონტზე, რატომღაც ყოველთვის დუმილით უვლიდნენ გვერდს ამ თემას, ვის შესახებ მხოლოდ გაკვრით საუბრობდნენ. ირანის ფრონტს ტაბუ მოეხსნა დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ცნობილმა ვეტერანმა გენერალმა ვარლამ კაკუჩაიამ, ვისი მოგონებების დღიურები მისმა ძმისწულმა გადმომცა. ერთად აღებულმა ყოველივე ამან მომცა სწორედ საბაბი, რომ ხელი მომეკიდა ამ პუბლიკაციისთვის...

მკითხველს რომ უფრო სრული ინფორმაცია მივაწოდო ირანის ფრონტთან დაკავშირებულ ამბებზე, თავს ნებას მივცემ, გავაკეთო პატარა ისტორიული ექსკურსი. სტალინი კორდონთან დაკავშირებით ღებულობდა ვრცელ ინფორმაციას. მან ყოველთვის იცოდა, რაც ხდებოდა გერმანიის, ინგლისის და სხვა ქვეყნების კულუარებში და რაც სსრ კავშირის ინტერესების სფეროშიც შემოდიოდა. ამ ინფორმაციით მას უზრუნველყოფდა ლავრენტი ბერია, რომელსაც ჰყავდა თავისი ხალხი ამ ქვეყნების ხელმძღვანელების ახლო გარემოცვაში. მაგალითად, ჰიტლერის მიერ 1940 წლის 18 დეკემბერს დამტკიცებული „ბარბაროსას“ უსაიდუმლოესი გეგმა უკვე მეორე წლის დასაწყისში მაგიდაზე ედო სტალინს. ერთადერთი შესწორება, რომელიც ჰიტლერმა ამ გეგმაში შეიტანა, იყო – შეტევის თარიღის შეცვლა ერთი თვით.

გეგმა „ბარბაროსა“ შეიცავდა დიდ სტრატეგიულ ოპერაციასაც მთელი კავკასიის ხელში ჩასაგდებად და შემდეგ ბაქოზე გასასვლელად, რომლის სახელწოდებაც „ბლაუ-III“ იყო. ამ გეგმის რეალიზაციით ჰიტლერს განზრახული ჰქონდა ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ ჩაერთო თურქეთი, რომელმაც სსრ კავშირის საზღვართან უკვე მოუყარა თავი თითქმის ერთმილიონიან არმიას, აგრეთვე ირანი, რომლის მიმართაც ჰიტლერს განსაკუთრებული მიზნები ამოძრავებდა – იქ ხომ ნავთობის მდიდარი რაიონებია. იქ კი, სადაც ნავთის სუნია, ყოველთვისაა ინგლისიც, რომელსაც ირანის მახლობლად ჰყავდა თავისი ჯარები.

ამ საკითხზე ძვირფასი ინფორმაცია მოსდიოდა ბერიას ლონდონიდან, სახელგანთქმულ მზვერავ კიმ ფილბისგან, რომელიც, სხვათა შორის, ქართული წარმომავლობის დაქირავებული ფრანგი იყო. და მართლაც, ცხადი გახდა, რომ ჰიტლერელებმა დაიწყეს აქტიური მოქმედება მთელს ირანში, რომლის შაჰიც აშკარა სიმპათიით იყო განწყობილი ჰიტლერისადმი. ამიტომ მიზანმიმართულ ბრძოლას უკლებლივ ყველა მიმართულებით უძღვებოდა უშუალოდ სტალინი. მთავარი კი მაშინ იყო – მოგებგო დრო...

მართალია, თურქეთმა მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდანვე განაცხადა ნეიტრალიტეტის შესახებ, ქარქაშიდან ამოღებული ხმალი მაინც მუდამ მზად ჰქონდა. ირანში, მიუხედავად საბჭოთა რუსეთ-სპარსეთის (სპარსეთი – ირანის ოფიციალური სახელწოდება იყო 1935 წლამდეძ ხელშეკრულებისა, რომელიც 1921 წლის 26 თებერვალს დაიდო, ლამის დღესასწაულები იმართებოდა ფაშისტების მიერ ყოველი საბჭოთა ქალაქის აღებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც. სამხრეთიდან საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში სულ უფრო და უფრო ინტენსიურად შემოდიოდნენ ჯაშუშები და დივერსანტები. კავკასიისათვის ბრძოლის დაწყებასთან დაკავშირებით ინგლისმა სსრ კავშირს შესთავაზა, რომ გაამაგრებდა ამ აზიურ ქვეყნებს თავისი ჯარებით, რასაც სტალინმა ასეთი რეაგირება გაუკეთა: „ირანიდან ინგლისს შემდეგ ველარ გამოაგდებ“. ამიტომ გადაწყდა ირანში ჯარები ერთობლივად შეეყვანათ.

სტალინმა ისარგებლა საბჭოთა რუსეთ-ირანის ოცი წლის წინანდელი ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით, რომელშიც აღნიშნული იყო საბჭოთა რუსეთის უშიშროების საფრთხის შემთხვევაში ირანის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების შეყვანის შესაძლებლობის შესახებ. გერმანიასთან ომის დაწყებიდან ზუსტად 65 დღის შემდეგ – 1941 წლის 25 აგვისტოს დილის 5 საათზე, განსაკუთრებული საიდუმლოების ვითარებაში, ირანში გაუფრთხილებლად შეიყვანეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახკომის ჯარების პოლკით გაძლიერებული საერთო საჯარისო არმია (სარდალი – გენერალ-ლეიტენანტი კ.ფ.ბარონოვიძ, რომელიც ომის დაწყების წინ ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში ირანის ფრონტზე გაანგარიშებით.



აი, როგორ იგონებს ამ დღეებს ირანში შეჭრის მონაწილე გენერალ-მაიორი ვარლამ კაკუჩაია: „აგვისტოს დაახლოებით 20-იან რიცხვებში, როდესაც სამსახურებრივ საქმეზე ჭიათურაში ვიყავი, მივიღე დეპეშა დავალებით – დაუყოვნებლივ ჩავსულიყავი თბილისში. როცა თბილისში ჩავედი, წავიკითხე ჩემს სახელზე მოსკოვიდან მოსული შიფროგრამა. იქ ნათქვამი იყო: ამ ცნობის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ გაემგზავრეთ ჯულფაში (აზერბაიჯანის სსრ, ნახიჩევანის ასს რესპუბლიკა – ლ.დ.ძ ჩეკისტების მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად, რათა 24 აგვისტოს იყოთ ადგილზეო. შემდეგ დაშიფრულ დეპეშაში ნათქვამი იყო: 24 აგვისტოს ზუსტად 24 საათზე შტაბში გახსენი პაკეტი შენს სახელზე და იმოქმედე დოკუმენტების მითითებების შესაბამისად.

... მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის ფრონტის ყველა მაღალი ჩინი კარგად მიცნობდა, მათ შორის სამხედრო საბჭოს წევრი მირ ჯაფარ ბაგიროვიც (აზერბაიჯანის კპ (ბძ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანიძ, რომელიც ასევე ჯულფაში იმყოფებოდა, არავის უთქვამს ჩემთვის რაიმე კონკრეტული. ყველა მოკლედ მიპასუხებდა – გავიგებთ 24 საათზე, როდესაც გავხსნით პაკეტს მოსკოვიდან. ამ დროს შტაბის მუშაკები შეუსვენებლად მუშაობდნენ. ზუსტად 24 საათზე პაკეტი გახსნეს. აი, რა ეწერა მასში: „... ირანის ტერიტორიაზე ფაშისტურმა გერმანიამ ფარულად სხვადასხვა საფარველით თავი მოუყარა ოფიცერთა შემადგენლობის, უმაღლესი ჩინების ჩათვლით, დიდ ოდენობას, რომლებსაც დესანტის სავარაუდო გადმოსხმის მომენტში სათავეში უნდა ჩაუდგნენ ვერმახტის სამხედრო ნაწილები წითელი არმიის ზურგში დარტყმის მისაყენებლად თურქეთ-ირანის საზღვრის მთელ ტერიტორიაზე ბაქოს ნავთობის რაიონებისკენ გასასვლელად. ამასთან დაკავშირებით, უმაღლესი მთავარსარდლის სტალინის ბრძანებაში ნათქვამი იყო, 1941 წლის 25 აგვისტოს 05 საათზე უნდა მოხდეს გასვლა სამხედრო მოქმედებებზე ირანთან სსრ კავშირის საზღვრის მთელ სიგრძეზე და საზღვრის გადაკვეთის შემდეგ ელვის სისწრაფით დაიწყოს მოძრაობა, რათა მნიშვნელოვნად გავუსწროთ ინგლისის ჯარებს, რომლებიც ასევე იწყებენ შეტევას ირანის სამხრეთიდან“...

საბჭოთა დაჯგუფების წინაშე დაისვა ამოცანა – დაიკავოს ირანის ყველა საკვანძო რაიონი, შინსახკომისა და სამხედრო დაზვერვის მუშაკებს კი ევალებოდათ მიეღოთ ენერგიული ზომები, რათა გამოევლინებინათ და გაეუვნებელეყოთ გერმანელების მიერ შემოგზავნილი ოფიცრები, მათი აგენტურა და ხელისშემწყობები. ამასთან ერთად, როგორც ვარლამ კაკუჩაია იგონებს, მათ მკაცრად ეკრძალებოდათ ჩარეულიყვნენ ირანის საშინაო საქმეებში, თუმცა კი სთავაზობდნენ განეიარაღებინათ ირანის მთელი არმია და პოლიცია.

სტალინის ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, 25 აგვისტოს 05 საათზე ირანის ტერიტორიის მისამართით გაიხსნა საარტილერიო, ნაღმსატყორცნი და სხვა სახეობის იარაღის ცეცხლი. სატანკო, მექანიზებულმა და ქვეითი ჯარის ნაწილებმა დაიწყეს სასაზღვრო მდინარე არაქსის ფონს გასვლა, ვინაიდან, საბჭოთა სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, მდინარეზე რკინიგზის ხიდი დანაღმული იყო.

საჰაერო ნაწილები ბომბავდნენ აეროდრომებსა და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებს. სულ რაღაც ერთ საათში, – როგორც თავის მოგონებებში წერს გენერალი კაკუჩაია, – რკინიგზის ხიდი უვნებლად ჩაიგდეს ხელში. შედეგად 45-ე არმიის ნაწილები ჯულფის გავლით დაიძრნენ ირანის ტერიტორიისკენ და, მართლაც ლამის ქარის სისწრაფით მოქმედებდნენ. ირანის ნაწილები პანიკურად გარბოდნენ. და მალე წითელი არმია შევიდა ქალაქ თავრიზში – ირანის სიდიდით მეორე ქალაქში, რომელიც შუა საუკუნეებში სეფევიდების ძლიერი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო.

... ირანში წითელი არმია დიდი სისწრაფით მიიწევდა ორი მთავარი მიმართულებით: თავრიზისა (ძირითადად ეს იყო ე.წ. ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიაძ და თეირანისა. მოკლე დროში ირანის მთელ ჩრდილოეთს კონტროლს უწევდა საბჭოთა მხარე, ინგლისელებმა კი კონტროლზე აიყვანეს ირანის სამხრეთი. „როგორც ჩვენი მუშაობის შედეგებმა აჩვენა, – იხსენებს ვ.კაკუჩაია, – ჰიტლერელებმა დაგეგმეს შორს მიმავალი დიდი დივერსიები ირანის ტერიტორიიდან. გერმანიამ თავისი დაზვერვითი ორგანოების მეშვეობით დიდი ხნით ადრე დაიწყო ირანში თავისი აგენტურის სოლიდური ბაზის შექმნა, დღითი დღე ზრდიდა და აფართოებდა საყრდენი ცენტრის ქსელს მთელ ირანში“.

ვარლამ კაკუჩაიამ, სხვათა შორის, კარგად იცოდა როგორც აზერბაიჯანული, ისე გერმანული ენები. მან უზარმაზარი მუშაობა გასწია ჰიტლერული აგენტურის გამოსავლინებლად. ომის წლებში ის რამდენჯერმე იყო ირანში, სადაც საჭირო კონტაქტები დაამყარა ადგილობრივ მოსახლეობასთან.

საბჭოთა და ინგლისის ჯარების მიერ ირანის ტერიტორიის დაკავებამ გადამწყვეტი როლი შეასრულა უსაფრთხო დერეფნის შექმნაში ლენდ-ლიზის ხაზით სსრ კავშირში, უკვე 1941 წლის ნოემბრიდან, როდესაც ფაშისტები მოსკოვის მისადგომებთან იყვნენ, საბრძოლო ტექნიკის, იარაღის, ტყვია-წამლის, მოწყობილობის, სტრატეგიული ნედლეულის, სურსათის მიწოდების თვალსაზრისით. შემდეგ, უფრო გვიან, დაიწყო ამგვარი მიწოდებები ვლადივოსტოკის, არხანგელსკისა და მურმანსკის გავლით...

კავკასიისთვის ბრძოლის ყველაზე კრიტიკული პერიოდი კი 1942 წლის ზაფხული, როდესაც ფაშისტების რჩეული ჯარები მჭიდროდ მოადგნენ საქართველოს საზღვარს, ლავრენტი ბერიამ, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა სტალინის დავალებით: – რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევაჩეროთ მტერი, შეძლო მიეღო მისგან 45-ე არმიის ნაწილი და დაარწმუნა ბელადი, რომ ჩეკისტები სრულად აკონტროლებდნენ სიტუაციას ირანში. მაშინ ამიერკავკასია ნამდვილად გადარჩა მტრის შემოჭრისგან. ესეც თეთრი ლაქებია იმ დიდი ომის ისტორიაში.

... აბვერი, გესტაპო, მესამე რაიჰის პოლიტიკური დაზვერვა გულხელდაკრეფილი არ ყოფილან. განსაკუთრებით ვრცელი სადაზვერვო ქსელი შეიქმნა თურქეთში, როდესაც იქ გერმანიის ელჩი, გერმანიის ყოფილი მეთაური ფრანც ფონ პაპენი იმყოფებოდა, ვინაც ხელი შეუწყო ჰიტლერის მოსვლას ხელისუფლებაში. მძიმე სიტუაცია შეიქმნა მაშინ ავღანეთშიც, სადაც უკვე 12 წელი მართავდა ნადირ-შაჰის დინასტია, ვინაც სიმპათიით იყო განწყობილი ჰიტლერისადმი. ომის იმ წლებში სსრ კავშირმა ირანში, ავღანეთსა და თურქეთში ბევრი ძვირფასი მზვერავი დაკარგა.

და თუ შედეგად საბჭოთა დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ დაძლია მტერი, წარმატების ლომის წილი საქართველოდან საიდუმლო სამსახურის მუშაკებზე მოდიოდა! სამწუხაროდ, ჩვენ დღემდე ბევრი რამე არ ვიცით, ბევრი სახელი დაუმსახურებლადაა მივიწყებული, არქივები მიმოფანტულია, ზოგჯერ კი – განადგურებულიც. სწორედ მათ შეძლეს მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სასწორის გამარჯვების პინა გადმოეხარათ. ბევრი იყვნენ ირანში სომხები საქართველოდან. ავღანეთში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტმა მიხეილ ალავერდოვმა თითქმის გააქარწყლა ფაშისტების ძალისხმევა შიგნიდან აეფეთქებინათ მთელი ამიერკავკასია. მიხეილი დაიბადა თბილისში, ცხოვრობდა ყოფილი ენგელსის ქუჩაზე. 1943 წელს სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის შინსახკომის ანალიტიკურ-საინფორმაციო განყოფილებას, შემდეგ გახდა გენერალი. ომის მთელი წლების განმავლობაში (!ძ ირანში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტი იყო მეორე თბილისელი – ივანე ალაიანცი. შემდეგ ის სათავეში ედგა რეზიდენტურას საფრანგეთში, მსახურობდა სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში, გახდა გენერალი...

ლავრენტი ბერიას ვაჟიშვილი – სერგო, რომელიც მაშინ ლეიტენანტი-რადისტი იყო და 1941 წელს ირანში იმყოფებოდა, იგონებს: „... ჩვენმა ჯგუფმა შეისწავლა და დაადგინა ირანში გერმანული აგენტურის თითქმის მთელი ქსელი. უშუალოდ დაზვერვაში მე არ ვმონაწილეობდი, მაგრამ ამხანაგების მიერ მოპოვებული მონაცემები მიდიოდა ცენტრში ჩემი გავლით: მე ერთდროულად ვშიფრავდი და გადავცემდი მათ. ბიჭები განვიცდიდით, რომ საბრძოლო ოპერაციებში ვერ ვღებულობდით მონაწილეობას, ვინაიდან არ გვესმოდა შესრულებულ სამუშაოთა არსი. ყველაფერი გაირკვა თეირანის ოპერაციის დროს, როდესაც ჩვენი სპეციალისტები მთელს ირანში თავს გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. სხვათა შორის, სტალინის დავალებით სერგო ბერია თეირანის კონფერენციის მუშაობაშიც მონაწილეობდა.

... თეირანის კონფერენციის დროს (1943 წლის 28 ნოემბერი – 1 დეკემბერიძ ჩერჩილის თანაშემწემ მ.კვიტაშვილმა, როდესაც ინგლისის პრემიერ-მინისტრს წარუდგინა ი.ბ.სტალინის პირადი დაცვის უფროსი გენერალი შალვა წერეთელი, თავის შეფს უთხრა, რომ თავადაც ქართველია. ჩერჩილმა ინტერესით შეხედა მოხდენილ გენერალს, გაიღიმა და თქვა: – „ჩვენ აქ ქართველების ხელში ვართ“. და მართლაც, იქ ბევრი ქართველი იყო. ერთი დღით ადრე ჩერჩილმა ყურადღება მიაპყრო ორ საბჭოთა გენერალს, რომლებიც მოეწონა და მათთან ფოტოსურათიც კი გადაიღო. ესენი იყვნენ გრიგოლ კარანაძე და კაპიტონ ნაჭყებია. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, თეირანის კონფერენციის მუშაობაში საქართველოდან 37 კაცი მონაწილეობდა.

... 1946 წელს მოსკოვიდან მიღებული ბრძანებით 45-ე არმია, უკვე გენერალ ფ.ნ.რემეზოვის (ისიც საქართველოდან იყოძ სარდლობით, ირანიდან გამოიყვანეს.

ირანის ფრონტთან დაკავშირებული მასალები და დოკუმენტები არ ქვეყნდებოდა, ისინი სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის არქივებში მიმალეს.



**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

◉ ჩემპიონთა ლიგა

# თხა თხაზე ნაკლებიო...



**მოგეხსენებათ, კვირას „კამპ ნოუზე“ „ბარსელონასა“ და „რეალის“ „ელ კლასიკოა“ დანიშნული, ამიტომ სავსებით შესაძლებელი იყო, ესპანური ფეხბურთის გრანდებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მეორე ტურში ნახევარი ძალით ეთამაშათ.**

ვარაუდი არ გამართლდა. გუშინდელ ნომერში უკვე გაუწყეთ კატალონიელთა მორიგი გამარჯვების შესახებ, ამიტომ დღეს ორიოდე სიტყვა „სამეფო კლუბს“ შევაწიოთ.

მას შემდეგ, რაც ჟოზე მაურინიუს გუნდმა პრიმერადივიზიონის სტარტი ჩააგდო და მარადიულ მეტოქეს უკვე 7 ქულით ჩამორჩება, აქა-იქ გავრცელდა ინფორმაციები ცალკეულ ვარსკვლავთა შორის წარმოშობილი კონფლიქტისა და ამით გამოწვეული კრიზისის შესახებ, თუმცა უკანასკნელმა მატჩებმა ეს ვერსია გააბათილა.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბინადრებმა შარშანდელი კონდიციები სრულად აკრიფეს. მაგალითად, ამსტერდამში „აიაქსი“



თითქმის მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ღირსეულად უმკლავდებოდა ფავორიტს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რონალდუმ შესვენების წინ პარტნიორები დააწინაურა, მათი უპირატესობა აშკარა გახდა.

**ოთხშაბათის რაუნდის სრული შედეგები.**

**„ა“ ჯგუფი.** „პორტუ“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 1:0 (როდრიგესი), კიევის „დინამო“ – ზაგრების „დინამო“ 2:0 (გუსევი, პივარიჩი – საკუთარ კარში).

„პორტუ“ – 6, „პარი სენ-ჟერმენი “, კიევის „დინამო“ – 3-3, ზაგრების „დინამო“ – 0 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი.** „შალკე“ – „მონპელიე“ 2:2 (დრექსლერი, ჰუნტელაარი – პენალტით; ფანა, კამარა), „არსენალი“ – „ოლიმპიაკოსი“ 3:1 (ჟერვინიო, პოდოლსკი, რემზი; მიტროღლუ).

„არსენალი“ – 6, „შალკე“ – 4, „მონპელიე“ – 1, „ოლიმპიაკოსი“ – 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი.** „ზენიტი“ – „მილანი“ 2:3 (ჰალკი, შიროკოვი; ემანუელსონი, ელ შაარავი, ჰუბოჩანი – საკუთარ კარში), „ანდერლეხტი“ – „მალაგა“ 0:3 (ელიზეუ – 2, ხოაკინი – პენალტით).

„მალაგა“ – 6, „მილანი“ – 4, „ანდერლეხტი“ – 1, „ზენიტი“ – 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი.** „აიაქსი“ – „რეალი“ 1:4 (მოისანდერი; რონალდუ – 3, ბენზემა), „სიტი“ – „ბორუსია“ 1:1 (ბალოტელი – პენალტით, ბლაშჩიკოვსკი).

„რეალი“ – 6, „ბორუსია“ – 4, „სიტი“ – 1, „აიაქსი“ – 0 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

◉ მეტოქე

# ისინი გვიმასპინძლებენ



**როგორც იცით, 12 ოქტომბერს ჰელსინკიში გაიმართება „მუნდიალ – 2014“-ის მორიგი შესარჩევი შეხვედრა ფინეთი – საქართველო.**

გუშინ უკვე გაგაცანით თემურ ქეცბაიას რჩეულთა ვინაობა. ამჯერად მასპინძელთა თავკაცის მიქსუ პაატელაინენის მიერ საწვრთნელ შეკრებაზე გამოძახებულ კონტინგენტს გაგაცნობთ.

**მეკარეები:** პრადეცკი („ესბიერგი“), სილანპია („ტრომსიო“), მიაენპია („ვენლო“).

**მცველები:** მოისანდერი („აიაქსი“), ტოივიო („იურგორდენი“), იუჰანი „ოიალა“ („იანგ ბოიზი“), ჰალსტი („მალმიო“), არკივუო („ჰეკენი“), რაიტალა („ჰერენვენი“), ურონენი („ჰელსინგბორგი“), პასანენი („ორჰუსი“).

**ნახევარმცველები:** არაიუური („კალმარი“), ჰიამიალაინენი („იურგორდენი“), რომან ერიომენკო („რუბინი“), ალექსეი ერიომენკო („რუბინი“), სპარვი („გრონინგენი“), ჰეტემაი („კიევო“), კოლეჰმაინენი („ჰონეფოსი“), მიკა ოიალა („ინტერი“ ტურკუ).

**თავდამსხმელები:** პუკი („შალკე“), კუკი („ატრომიტოსი“), ვიაირინენი (ჰიკი), რინგი („გლადბახი“).

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ თაობა

# გამოცდის წინ

**ოქტომბრის მიწურულს თბილისში 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ელიტრაუნდი დაიწყება. შეგახსენებთ, რომ ჭაბუკ „ჯვაროსნებთან“ ერთად მე-13 ჯგუფში შოტლანდიის, ლუქსემბურგისა და უკრაინის ნაკრებები ითამაშებენ, ხოლო მასპინძლები ყველა შეხვედრას ვაკის „მიხეილ მესხის“ სტადიონზე გამართავენ.**

**ნახევარმცველები:** თევზაძე, ხარაიშვილი, არველაძე, რუხაძე (ოთხივე – „საბურთალო“), გოროზია („დინამო“), მესხი („ლოკომოტივი“), ლაშხია („ბაია“).

**თავდამსხმელები:** კერძევაძე („ზესტაფონი“), ზარანდია („ლოკომოტივი“), ჩაბრაძე, ხორხელი (ორივე – „საბურთალო“).

სავარაუდოდ, პარტნიორებს მოგვიანებით შეუერთდებიან



ჩვენი გუნდის თავკაც გიორგი დევდარიანის მიერ ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ დაწყებულ საწვრთნელ შეკრებაში მონაწილეობენ:

**მეკარეები:** გოშაძე, ქურდაძე.

**მცველები:** ტაბიძე, მარგველაშვილი, ველიაშვილი (ხუთივე – „საბურთალო“), ხუბეჟოვი („ცხინვალი“), პატარკაციშვილი („ლოკომოტივი“), შულაია („მერანი“), გელაშვილი („ტორპედო“).

გუნდის კაპიტანი მალანია („რუბინი“) და ბერიძე (ჩიხურა“).

დავძენთ, რომ უმნიშვნელოვანესი გამოცდის წინ ჩვენი 17-წლამდელები ტესტ-მატჩებს თანამემამულე 19-წლამდელებთან (9 ოქტომბერს) და თბილისის „დინამო“ დუბლებთან (12 ოქტომბერს) მოაწყობენ.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◉ რეიტინგი

# ნახტომიც ამას ჰქვია



**ბელარუსთან შესარჩევი მატჩის მოგებით საქართველომ ერთბაშად 21 საფეხურით წაიწია წინ და ფიფას ტრადიციულ რეიტინგში 65-ე პოზიციამდე ალზევდა 501 ქულით. ჩვენი გუნდის უახლოესი მეტოქეები ფინეთი და ბელარუსი შესაბამისად 87-ე და 88-ე ადგილებზე არიან, ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს, იმედი ვიქონიოთ, რომ სეზონის ბოლოს კიდევ უფრო დავწინაურდებით.**

რაც შეეხება ელიტას, უძლიერესთა ოცეული ასე გამოიყურება: ესპანეთი, გერმანია, პორტუგალია, არგენტინა, ინგლისი, ჰოლანდია, ურუგვაი, იტალია, კოლუმბია, საბერძნეთი, ხორვატეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ბრაზილია, შვეიცარია, კოტ დივუარი, ჩილე, დანია, მექსიკა, ეკვადორი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ რა ეჩქარებოდა!

# პრეზიდენტმა გიორგი დემეტრაძე შეიწყალა და სასჯელი გაუნახევრა



**საქართველოს პრეზიდენტმა ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე შეიწყალა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დემეტრაძის ადვოკატმა მარიკა ფხალაძემ განუცხადა.**

ადვოკატის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს პრეზიდენტის შეწყალება 28 აგვისტოს, პატიმართა შეწყალების ფარგლებში შეეხო, თუმცა, ქვეყნის პირველი პირისთვის შესაბამისი თხოვნით, არც მას და არც დემეტრაძის ოჯახს არ მიუმართავთ.

„პრეზიდენტმა 28 აგვისტოს სულ 150-მდე პატიმარი შეიწყალა, მათ შორის გიორგი დემეტრაძე, თუმცა ის საპყრობილეს არ ტოვებს, უბრალოდ, მას შეწყალება სასჯელის განახევრების ფორმით შეეხო. მას 6-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი, აქედან 28 აგვისტოსთვის 2 წელი უკვე გასული იყო, შესაბამისად, დემეტრაძე ციხეს წელიწადსა და 10 თვეში დატოვებს“, – აღნიშნა ადვოკატმა.

გიორგი დემეტრაძე ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის 2010 წელს დააპატიმრეს. მისი საქმე სტრასბურგის სასამართლოშია გასაჩივრებული.

◎ „სად წაიყვან სადაურსა“

კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

# თამარ თუმანოვა (თუმანიშვილი. 1919-1996)



**ფრანგი ბალერინა. დაიბადა ჩინეთში, ქალაქ შანხაიში, სადაც ცხოვრობდა 1926 წლამდე (დედასთან, ევგენია თუმანიშვილთან ერთად). 5 წლისამ პირველად ნახა ლეგენდარული რუსი მოცეკვავე ანა პავლოვა საკონცერტო ნომერში „მომაკვდავი გედი“ (კამილ სენ-სანსის მუსიკაზე), რამაც ჩაუნერგა ბალეტის სიყვარული.**

ცეკვას ჯერ შანხაიში სწავლობდა, 1926-დან, პარიზში გადასული, – ო. პრეობრაჟენსკაიას რუსულ საბალეტო სკოლაში. (10 წლისას ჰქონდა დებიუტი პარიზის „გრანდ ოპერის“ სცენაზე სპექტაკლში „ჟანის მარაო“. 13 წლის თამარი დასში მიიწვია იმხანად საფრანგეთში მოღვაწე ჯორჯ ბალანჩინიმ და უკვე წამყვან სოლისტად მონაწილეობდა ევროპისა და ამერიკის ცნობილ საბალეტო დასებში: „ბალე რიუს დე მონტე კარლო“ (1932-1938 წ, „ორიჟინალ ბალე რიუს“ (1940 წ, „ბალეტიეტრ“ (1944-1945 წ, „გრან ბალე ბიუ მარკ დე კუევა“ (1949 წ, „გრანდ ოპერა“ (1947-1959 წ, „ლა სკალა“ (1951-1952, 1958 წ და სხვ.

თამარ თუმანიშვილის წარმატებას, მაღალ საშემსრულებლო ხელოვნებასთან ერთად, უბადლო გარეგნობაც განაპირობებდა. ასამდე შესრულებული პარტიიდან აღვნიშნოთ ჟიზელი („ჟიზელი“, ლ. ადანის, ოდეტა-ოდილია („გედების ტბა“, პ.ჩაიკოვსკის, ავრორა („მძინარე მზეთუნახავი“, პ. ჩაიკოვსკის, კოპელია („კოპელია“, კ. დელიბის, გაიანე („გაიანე“, ა. ხაჩატურიანის... ასრულებდა წამყვან პარტიებს ჯ. ბალანჩინის დადგმებში (ჟ. ბიზეს „ბროლის კოშკი“, ჟ. ორიკის „მოცარტიანა“, ი. სტრავინსკის „ანგელოზის კოცნა“ და სხვას.

გადაღებულია ა. ჰიჩკოკის ფილმში „დაშვებული ფარდები“; ანა პავლოვაზე ფილმში „XX საუკუნის ტალიონი“ ასრულებდა გმირი ქალის როლს. ნამოღვაწევია ბალეტმაისტერადაც (დადგა ა. ხაჩატურიანის „გაიანე“) და პედაგოგადაც.

თ. თუმანიშვილი გარდაიცვალა ლოს ანჯელესში (აშშ.

მოამზადა
**თამაზ ეზანოიძემ**

◎ საგანგაშო ვითარება

# გენმოდიფიცირებული ორგანიზმები უშვილობას იწვევენ

საიტი „newsland.ru“ ბეჭდავს ფრანგული გამოკვლევის კომენტარებს გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ. მათში ნათქვამია: „რუსეთში გენმოდიფიცირებული კულტურების გამოყვანა ოფიციალურად არის აკრძალული, ხოლო ასეთი პროდუქტების იმპორტი რატომღაც დაშვებულია. რუსეთში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მასშტაბურ გავრცელებას, რომელთა უსაფრთხოება ოფიციალურად არ არის დადასტურებული, პოტენციურად მოაქვს უშვილობა, ონკოლოგიურ დაავადებათა ზრდა, გენეტიკური სიმახინჯეები და ალერგიული რეაქციები, სიკვდილიანობის მატება და გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება. მაგალითად, 2000-დან 2010 წლამდე კიბოთი დაავადების რიცხვმა რუსეთში 15,23%-ით მოიმატა და ეს შემთხვევით არ მომხდარა.

გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების მიღება დაკავშირებულია მცენარის ან ცხოველის გენომში სხვათა გენის „ჩადგმასთან“. „ჩანერგილი“ გენის აქტივობის მეოხებით წარმოიქმნებიან უცნობი ტოქსიკური ცილები, რომლებიც იწვევენ ტოქსიკოზებსა და ალერგიებს ადამიანებსა და ცხოველებში. ჯერ კიდევ 2000 წელს გამოქვეყნდა მეცნიერთა მსოფლიო განცხადება გენური ინჟინერიის ხიფათთან დაკავშირებით, შემდეგ მეცნიერთა ღია წერილი ყველა ქვეყნის ხელისუფალთადმი მორატორიუმის შემოსაღებად - გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გავრცელების წინააღმდეგ, რომელსაც ხელი მოაწერა 84 ქვეყნის 828 მეცნიერმა.




## ჟურნალი „ხელეური“ კონკურსს აცხადებს

ლიტერატურული ჟურნალი „ხელეური“ აცხადებს კონკურსს რევაზ ინანიშვილის პრემიის მოსაპოვებლად.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერი ასაკის ავტორს. კონკურსის მიზანია ნიჭიერ ავტორთა წარმოჩენა.

მონაწილეებმა კომპიუტერზე აწყობილი პროზაული ნაწარმოები (არაუმეტეს 6 გვერდისა) უნდა გამოაგზავნონ ჟურნალ „ხელეურის“ ინტერნეტ-ფოსტაზე არაუგვიანეს 25 ნოემბრისა.

გამარჯვებულებს გადაეცემათ:

I ადგილი – 500 ლარი.
II ადგილი – 300 ლარი;
III ადგილი – 200 ლარი.

შედეგები შეჯამდება 15 დეკემბრისათვის. გამარჯვებული ნამუშევრები გამოქვეყნდება ჟურნალ „ხელეურში.“

ჟურნალ „ხელეურის“ ინტერნეტფოსტა: xeleuri@mail.ru

გამოგზავნეთ ორი ფაილი. ერთი ფაილით იგზავნება ნაწარმოები და დევიზი, ხოლო მეორე ფაილში უნდა ჩაიწეროს თქვენი დევიზი, სახელი და გვარი, ტელეფონი, მისამართი და ნაწარმოების სათაური.

საკონტაქტო ტელეფონი: 551 00 50 58.

◎ ჩვენი კარაბადინი

# ეგზემა – გამწვავებები არ იქნება

**შემოდგომით ბევრ მათგანს, ვისაც ეგზემა აწუხებს, უვითარდება გამწვავება. როგორ ავიცილოთ იგი თავიდან?**

### ზუსტად განსაზღვრეთ მიზეზი

**ეგზემა – ეს არის ქრონიკული ალერგიული დაავადება და, მართალია, მისი გამოვლინება, უწინარეს ყოვლისა, ჩანს კანზე, პრობლემის ფესვი – იმუნური სისტემის მუშაობის დარღვევაშია. ეგზემას მკურნალობენ ადგილობრივი საშუალებებით – საცხებით, კრემებით.** ეს გვიმსუბუქებს მდგომარეობას. მაგრამ, თუ კონტაქტი ალერგენებთან, რომლებიც იწვევენ დაავადების განვითარების პროვოცირებას, არ არის თავიდან მოცილებული, გამწვავება ხშირად შეგვახსენებს თავს. ასე რომ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია, გავიაროთ დიაგნოსტური ტესტები ალერგიაზე – იმუნოფერმენტული ანალიზი ან კანის გასინჯვა. ამას ბევრ სამედიცინო ცენტრში აწარმოებენ. რეაქციას, თუ კერძოდ რა ნივთიერებებზე შევიმოწმოთ თავი, გვირჩევს ექიმი. სახიფათო ალერგენებზე თავის არიდება არსებითად შეგიმცირებთ დაავადების გამოვლინებას.



### ჩაიცვით ამინდის შესაბამისად

**ზედმეტად გაცივება – რისკის სერიოზული პრობლემაა. დიდი მნიშვნელობა აქვს, დავიცვათ გაცივებისგან არა მხოლოდ სხეული, არამედ ხელის მტევანიც. იმათ, ვისაც ეგზემა აწუხებს, უნდა ჩაიცვან ხელთათმანები სხვებზე ადრე, თუნდაც ძალიან თხელი.**

მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ არ დაგვახურდეთ, რაც შეიძლება ნაკლებად გაგვიჩნდეს ოფლი. ბევრ ადამიანში ეგზემას თან ახლავს სოკოვანი ინფექცია. „მალასეზიის“ სახის მიკროსკოპული სოკოები აქვს ყველა ადამიანს, მაგრამ ალერგიისადმი მგრძნობიარე ადამიანებს ისინი უფრო სწრაფად უმრავლდებათ და ავლენენ დიდ აქტიურობას, ართულებენ ეგზემის მიმდინარეობას. გადახურება და ოფლიანობა მათთვის ქმნის ხელსაყრელ გარემოს. ძალიან ნუ დათბუნდებით, შეირჩიეთ ტანსაცმელი ნატურალური ქსოვილებისგან, რომლებიც კარგად „სუნთქავენ“. ეს, სხვათა შორის, შეეხება შარფებსაც და ქუდებსაც. სოკოები ყველაზე ხშირად „ცხოვრობენ“ თავზე, კისერზე და მკერდზე.

### ყურადღება მიაქციეთ კლიმატს საცხოვრებელში

**მას შემდეგ, რაც ჩართავენ ხოლმე ცენტრალურ გათბობას, ჰაერი ბინებსა და ოფისებში უფრო მშრალი ხდება და, ესეც ნეგატიურ გავლენას ახდენს კანზე. ეგზემიანი ადამიანისთვის იდეალურად ითვლება ჰაერის 60-80 პროცენტით ტენიანობა. თუ ეს უფრო დაბალია, საჭიროა, შევიძინოთ ჰაერის დამტენიანებელი. ტენიანობას ზომავენ ჰიგრომეტრით, მისი შეძენა კი შეიძლება ელექტრო და საყოფაცხოვრებო საქონლის მაღაზიებში.** კარგია, თუ ეს ხელსაწყო შეერთებულია ოთახის თერმომეტრთან, ადამიანმა, ვისაც ეგზემა აწუხებს, ხომ უნდა ადევნოს თვალყური ტემპერატურას სათავსში. ის ცელსიუსით 23 გრადუსზე ზევით არ უნდა იყოს.

### გულდასმით აირჩიეთ კოსმეტიკა

**ისარგებლეთ ჰიპოალერგენული საშუალებებით. ბანაობის შემდეგ საჭიროა დავისველოთ კანი. ჰკითხეთ რჩევა ექიმს, თუ რა საშუალება უნდა ავირჩიოთ ამისთვის – ეგზემიანი ადამიანებისთვის ყველანაირი რძე, ყოველგვარი ლოსიონი და კრემი როდია სასარგებლო სხეულზე წასასმელად.**

შემოდგომისა და ზამთრის სარისკო პერიოდისთვის ნუ გამოიყენებთ ახალ კოსმეტიკას და ვიტამინურ კომპლექსებს. აირჩიეთ მხოლოდ ის, რაც უკვე გაგისინჯიათ.

### მოაწესრიგეთ კუჭ-ნაწლავის მუშაობა

**ეგზემის გამწვავების პროვოცირება შეუძლია აგრეთვე ფაქტორებს, რომლებიც არ არიან უშუალოდ დაკავშირებული კანთან ან იმუნურ სისტემასთან. მათ შორისაა, მაგალითად, ყაბზობაც. მის გამო ტოქსინები და დაშლის პროდუქტები დროულად ვერ გამოდიან ორგანიზმიდან.** კუჭ-ნაწლავის მუშაობის ნორმალიზებისთვის რაციონში შეიტანეთ მეტი ბოსტნეული, ქატო, კერძები მარცვლოვანებისგან. ეს პროდუქტები მდიდარია უჯრედებით, რომლებიც სტიმულს აძლევენ კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკას. ეგზემის მიმდინარეობაზე ცუდ გავლენას ახდენენ აგრეთვე გასტრიტი, ნაღვლის ბუშტისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებანი, ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემები. პროგნოზს აუარესებს ბანალური დისბაქტერიოზი. ასე რომ, ამ დაავადებას ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ და ვუმკურნალოთ დროულად. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისთვისაც მთლიანად.

ЗДОРОВЬЕ

## გახსენება

# ნაზი ძაძამია-კიკალიშვილი

40 ტკივილით სავსე, ცრემლიანი დღე გავიდა საყვარელი დედის, მეუღლის, ბებიის ქალბატონ **ნაზი ძაძამია-კიკალიშვილის** გარდაცვალებიდან. მისი სიცოცხლე ხომ მარიამობის წინა ღამეს შეწყდა. ადამიანს, რომელსაც სწამდა სიკეთის, დაუზოგავად შეეძლო სიკეთის გაცემა, თანაგრძნობა, გაჭირვებულის დახმარება.

გვიჭირს უშენობა, ნაზი, არ ვიცით, როგორ გავაგრძელოთ ცხოვრება. რამდენი ცრემლი გაიყოლე, დაგვიტოვე ტკივილიანი მონატრება. ჩვენ ყველანი ვილოცებთ, რათა შენი სპეტაკი სული ნათელში ამყოფოს უფალმა.

გვაკლიხარ და გვენატრები, გვენატრები ძალიან, ჩვენო საყვარელო ნაზი...

ოჯახისა და დედმამიშვილების სახელით:

**ბადრი და მანანა კიკალიშვილები, ლია ხიდაშელი, ედიშერ წირქვაძე, ალექსანდრე, ვლადიმერ, გრიგოლ, ნოდარ, ლოლა, თამარ, ლამარა ძაძამიები, ძმისწული მიხეილ ძაძამია.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე, თამარ შაიშმელაშვილი, ოთარ ტურაბელიძე, ვილენ მარდალეიშვილი, დავით მხეიძე, გია გაბრიჭიძე, მაყვალა ლიპარტელიანი, მზია ხეთაგური სამძიმარს უცხადებენ ცნობილ პოეტს ერეკლე საღლიანს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის**

**გვაშაყან კვიციანი-საღლიანის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ჯემალ ცერცვაძე, ჯანო ბაგრატიონი, გარი მაჭავარიანი, იმედო ფხაკაძე, ლევან ლოლუა, თამაზ ჩხარტიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ხელბურთის ერთ-ერთი დამაარსებელი**

**კონსტანტინე (კოტე) ხატისკაცი**

**და თანაუგრძნობენ ოჯახს.**

---

**არჩილ გოგელია, იური ოსიპოვი, ზურაბ ცქიტიშვილი, გურამ ჯაიანი, გივი ცაგარელი, ლარიკ ხაზარაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყოფილი ბრწყინვალე ხელბურთელი, საქართველოს ნაკრების წევრი**

**კონსტანტინე (კოტე) ხატისკაცი**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს**

---

**ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის, შესანიშნავი მეცნიერისა და პედაგოგის**

**ვაჟა სხირტლაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## დაიჯესტი

### ბრეივიკის „ტყუპისცალი“

**საკულტო მკვლელის ანდრეს ბრეივიკის მორიგი მიმდევარი ჩეხეთში დააკავეს. საბედნიეროდ, 23 წლის ახალგაზრდა მამაკაცმა თავისი ოცნების განხორციელება — მდინარე ოდრაზე ახალგაზრდული ტურისტული ბანაკის დამსვენებელთა დახვრეტა — ვერ განახორციელა.**



ქალაქ ოსტრავას პოლიციის უფროსის, პოლკოვნიკ რადოვან ვოიტუს თქმით, ადგილობრივი მცხოვრები ვოიცეხ მლინეკი ტერაქტის მცდელობისთვის ადრე უკვე ნასამართლევი იყო — ავტოგასამართ სადგურში მის მიერ დადებული ბომბი არ აფეთქდა. მაშინ სასამართლომ იგი დაინდო და ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მაგრამ უიღბლო ტერორისტმა თავის „ჰობიზე“ ხელი არ აიღო და საავიაციო ბომბის საფუძველზე დისტანციურმართვიანი მძლავრი ასაფეთქებელი მოწყობილობის დამზადება შეძლო. ჩხრეკის დროს ოპერატიულმა მუშაკებმა მისი ბინიდან რამდენიმე ავტომატი და პისტოლეტი, აგრეთვე მათი 400 ვაზნა, ასევე პოლიციელის ფორმა ამოიღეს.

დაკითხვაზე ვოიცეხ მლინეკმა აღიარა, რომ ბრეივიკის საქციელის გამეორებას აპირებდა — იგი ჯერ ადგილობრივი მერიის შენობაში ბომბის აფეთქებას, შემდეგ კი მდინარის პლაჟზე მისვლას და იქ მასობრივად ხალხის დახოცვას აპირებდა. დამნაშავე ირწმუნება, რომ თანამზრახველები არ ჰყოლია, მაგრამ პოლიცია საგულდაგულოდ ამოწმებს ტერორისტულ ორგანიზაციებთან და, შესაძლოა, თავად ბრეივიკთან მის სავარაუდო კავშირებს.

ბოლო წლებში მლინეკი ინტერნეტში დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა და ფსევდონიმი „ბრეივიკიც“ კი მიიღო. ამიტომაც სავსებით შესაძლებელია, რომ პროფესიულმა ექსტრემისტებმა მას ყურადღება მიაქციეს და კონტაქტებიც დაამყარეს. სხვათა შორის, სწორედ „ნორვეგიელი მსროლელით“ აღფრთოვანების გამო იყო რომ ჩეხეთის პოლიციამ ვოიცეხ მლინეკს ყურადღება მიაქცია.

### სტალონე... XVI საუკუნიდან

**ვატიკანის ფრესკაზე „გრიგოლ IX დეკრეტალიებს გადასცემს“, რომელიც რაფაელ სანტის შედევრია, ერთი მეორეხარისხოვანი პერსონაჟი სასწაულად ჰგავს... ჰოლივუდის მეგავარსკვლავს სილვესტრ სტალონეს!**



დასავლეთის პრესაში გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ ამ მართლაც ფანტასტიკური მსგავსების გამო სილვესტრ სტალონეს პრეს-მდივანმა „ვერანაირი კომენტარი ვერ გააკეთა“. ამასთან, წერენ, რომ წარმოშობით სტალონე იტალიელია, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, რომ მისი შორეული წინაპარი რაფაელის მოდელი ყოფილიყო.

საგულისხმოა ასევე ისიც, რომ იტალიური წარმოშობის კიდევ ერთი ჰოლივუდელი ვარსკვლავის ნიკოლას კეიჯის „ორეული“ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომის დროინდელი ჯარისკაცის ფოტოასლზე აღმოაჩინეს.

### ღირსეული სიბერის უზრუნველსაყოფად

**ბოლო 50 წლის მანძილზე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 20 წლით გაიზარდა! ამასთან, აღსანიშნავია, რომ 2025 წლისთვის დედამიწაზე 1,2 მილიარდი კაცი 60-წლიან მიჯნას გადააბიჯებს.**

**ყოველივე ეს იმის ნიშანია, რომ დედამიწის მოსახლეობა „ბერდება“, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ სოლიდურ ასაკს ჭკუა მაინცდამაინც არ მოყვება.**



1 ოქტომბერს მსოფლიო ხანდაზმულთა საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. თავისთავად ამის აღნიშვნის მიზანია ხანდაზმულ ადამიანთა პრობლემებისადმი, მათი მოვლა-პატრონობის, ასევე ღირსეული სიბერის უზრუნველყოფის აუცილებლობისადმი საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა.

### მხეცები

**ბოსნიის პოლიციამ 52 წლის მუსლიმანი მილენკო მარინკოვიჩი და მისი 45 წლის ცოლი სლავოიკა დააპატიმრა იმის გამო, რომ ათი წლის მანძილზე მათ მონობაში ჰყავდათ... მილენკოს ღვიძლი შვილი, დედით გერმანელი კლარა.**

რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, მაგრამ კლარას მონობის ამბავი ყველა თანასოფლელმა იცოდა. ასევე ყველამ იცოდა, რომ გოგონას სცემდნენ, აშიმშილებდნენ, მძიმე სამუშაოს ასრულებინებდნენ, თანაც, აუპატიურებდნენ. მაგრამ მრავალი წლის მანძილზე არავის ენაც არ დაუსველებია, არც თითი გაუნძრევია საბრალო კლარას საშველად. ერთადერთი კაცი, რომელმაც ამის თაობაზე პოლიციას რამდენჯერმე მიმართა, კარის მეზობელი სეიდ მაკალიჩი იყო. კაცმა ბოლოს იმდენი მოახერხა, რომ მონა გოგონას ფოტოსურათები გადაუღო, რამაც პოლიციას გამოძიების დაწყება აიძულა. კლარას



სოფლის მახლობლად ტყეში მიაგნეს, სადაც სადისტი ცოლ-ქმარი მის დამალვას ცდილობდა. იგი 40 კილოგრამსღა იწონიდა, ტანი კი ერთ დიდ იარას წარმოადგენდა. კლარა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში მოათავსეს, მაკალიჩს კი მუქარის წერილები მისდის.

კლარას დედა გერმანელი იყო, რომელმაც მილენკო მარინკოვიჩს ოთხი შვილი გაუჩინა, სამი უფროსი ქალიშვილი გაათხოვეს, 9 წლის კლარა კი მამასთან სახლში დარჩა. მეუღლეები რომ გაიყარნენ, მილენკომ სხვა ქალი შეირთო, მაგრამ უმცროსი ქალიშვილი მაინც მასთან რატომ დარჩა, დღემდე უცნობია. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ისაა, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე გოგონას დედამ, რომელიც იმავე სოფელში ცხოვრობდა, ქალიშვილის გაუსაძლისი ყოფის შესახებ ყველაფერი იცოდა, მაგრამ მის საშველად არაფერი მოუმოქმედებია.

## ანეკდოტები

**— თუ შეიძლება, გვითხარით, როდიდან დაინტერესდით საპარაშუტო სპორტით?**

**— გულახდილად გეტყვით, მაშინვე, როგორც კი დავინახე, რომ მესამე ძრავასაც ცეცხლი წაეკიდა...**

* * *

**დილაა. სიდედრი თავისი საძინებლიდან გამოდის და წუწუნებს:**



**— მთელი ღამე კოღოები მკბენდნენ. დილით გამეღვიძა და ბალიში სულ სისხლით იყო მოთხვრილი.**

**— აბა რა იქნებოდა, ამდენ კოღოს რომ გული აერეოდა, — ჩაილაპარაკა სიძემ.**

* * *

**— რა არის მთავარი ქალის სილამაზეში?**

**— პირი!**

**— უფრო კონკრეტულად, მისი ფორმა, ფერი თუ სიდიდე?**

**— არა, მთავარია, იგი მოკუმული იყოს.**

* * *

**სიდედრი სიძეს ეწვია.**

**— ვაშა! — ჩაეხუტა გახარებული პატარა შვილიშვილი ბებიას, — ბოლოს და ბოლოს, მამიკო ფოკუსს გვიჩვენებს!**

**— რა ფოკუსს, ბებო?**

**— გუშინ მამიკო ამბობდა შენზე, თუ კიდევ ჩამოვიდა, კედლებზე დავიწყებ სიარულსო.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### საზოგადოება ცხოვრებისეული პირობების გაუმჯობესებას ელის

გამოკითხული ადამიანების მოთხოვნა უმეტესად მაინც ცხოვრების ელემენტარული პირობების გაუმჯობესებაა. სტუდენტების უმრავლესობას აქვს იმის მოლოდინი, რომ სწავლის გადასახადი განახევრდება. ისინი ამბობენ, ბატონი ბიძინა დაგვპირდა და პირველ რიგში ამას ველითო.

„რეზონანსი“

### გივი თარგამაძე კიევში ბიზნესის გადასარჩენად გაიქცა?

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე კერძო საქმეების მოსაგვარებლად კიევშია წასული. ამის შესახებ სანდო წყარო იტყობინება. გივი თარგამაძე კიევში უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, მისი ბიძის — ლევან თუმანიშვილის, გურამ ვარშალომიძის, გელა და დავით ბეჟუაშვილების, ლევან ვარშალომიძის „ჯიბის ბიზნესის“, ბათუმელი თენგიზ ბაკურაძისა და, ცხადია, საკუთარი ბიზნესის მისახედად არის „მივლინებული“.

### ცეზარ ჩოჩელმა თანამდებობა დატოვა

არჩევნების შემდეგ ამ ქვეყანაში ბევრი რამე შეიცვლება. ცხადია, შეიცვლებიან გუბერნატორებიც. მას შემდეგ, რაც მმართველმა მოქმედმა ოპოზიციამ (ნაციონალებმაძ მცხეთა-მთიანეთი პირწმინდად წააგეს, ცხადი გახდა, რომ ამ მხარის გუბერნატორი პოსტს დატოვებდა. ეს იმ შემთხვევაშიც მოხდებოდა, „ნაცებს“ არჩევნები რომ მოეგოთ. ეს იმიტომ, რომ ბოლო ხანს მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორს ცეზარ ჩოჩელს გაურთულდა ურთიერთობა პრეზიდენტთან, რადგან მისმა მხარემ ძალიან სწრაფად დაიწყო „ოცნება“.

„ახალი თაობა“

**იყიდება ბინა სასწრაფოდ!**

**ქალაქის ცენტრში, ოპერის უკან,** თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. **დარეკეთ საღამოს — 247-57-79.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24